პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ოთხშაბათი
4
სექტემბერი
1935 წ.
№ 206 (4362)

დღეს ნომერში

— დავიცვათ შინაპარტიული დემოკრატიის კანონები („პრავდის" მეთაური).
— ვ. გოგეშვილი—რუსთაველის თეატრი გარდაქმნას აგვიანებს.
— დ. ქუჩულორია—სასკოლო ბაზრობის მოწყობის შესახებ.
— ინჟ. ალ. კანდელაკი—კახეთის ფიქალი.
— ციტრუსები.
— უკანასკნელი გამოთხოვება (ანრი ბარბიუსის ცხედრის გაცილება საფრანგეთს).
— აგარის ქარხანა ამუშავების წინ.
— ამიერ-კავკასიის ფეხბურთელთა გამარჯვება.
— ამხ. ბერიას მოხსენების დამუშავება კურსკში.
— განაჩენი ჯაშუშებისა და დივერსანტების საქმეზე.
— გაიხსნა ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა.
— იტალია-აბისინიის კონფლიქტი.

დავიცვათ შინაპარტიული დემოკრატიის კანონები

შინაპარტიული დემოკრატია — ლენინის პარტიის ურყევი კანონია.

„მხოლოდ შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე, — ამბობს პარტიის წესდება, მიღებული საკ. კ.პ. (ბ) XVII ყრილობის მიერ, — შეიძლება გაიშალოს ბოლშევიკური თვითკრიტიკა და განმტკიცდეს პარტიული დისციპლინა, რომელიც უნდა იყოს შეგნებული და არა მექანიკური".

შინაპარტიული დემოკრატია უზრუნველჰყოფს პარტიული ორგანოების ნამდვილ არჩევითს წესს, დახმარებას უწევს ბრძოლას ლენინიზმისათვის უცხო იდეოლოგიის წინააღმდეგ ადმინისტრატიული ზემოქმედების ყოველგვარი გამოხატულების, ერთმანეთისათვის ხელის დაფარების, მასების ინტერესების დავიწყებისა და მეშჩანური თვითდამშვიდების წინააღმდეგ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი არაერთხელ აღნიშნავს, რომ თუ პარტიული ორგანოები არჩეული არ იქნებიან, ყოველგვარი მხურვალე სიტყვა თვითკრიტიკის შესახებ ლაყბობად იქცევა, ხოლო ყოველგვარი გადაწყვეტილება — ქაღალდის მამოწერად, რომელიც მასების თვალში მხოლოდ სახელს უტეხს თვითკრიტიკის ლოზუნგს.

ჩვენი ქვეყანა მიადგა საბჭოთა დემოკრატიის გაფართოების ახალ ისტორიულ ეტაპს: არასავსებით თანასწორი არჩევნები იცვლება თანასწორით, მრავალსაფეხურიანი არჩევნები — პირდაპირით, ახდილი — ფარულით. ამ ეტაპს წინ უძღოდა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკური წარმატებანი. საბჭოთა დემოკრატიზმის სოციალისტური საფუძვლები განმტკიცდა საბჭოთა კავშირის მთელი საზოგადოებრივ—ეკონომიური ცხოვრების გრანდიოზულ გარდაქმნასთან შეფარდებით. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ, სოციალისტური მშენებლობის გაშლამ ქალაქში სული ჩაბერა ხალხში დაფარულ უმდიდრეს ძალებს. მრავალწყობიანობის ლიკვიდაცია ეკონომიკაში, მეურნეობის სოციალისტური ფორმების განუყოფელი ბატონობა — ყოველივე ეს ჰქმნის საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი აყვავების პირობებს.

კაპიტალისტურ დასავლეთში ფაშიზმის გზაზე დამდგარი ბურჟუაზიული სახელმწიფოები წლითი-წლობით და თვიდან თვემდე უფრო და უფრო მეტად უტევენ დემოკრატიას, სპობენ მის უკანასკნელ ნაშთებს. საბჭოთა სახელმწიფო რაც უფრო უახლოვდება სოციალისტურ საზოგადოებას, მით უფრო და უფრო მეტად აგებს მთელ თავის მუშაობას დემოკრატიის გაფართოებაზე, თვითკრიტიკის გაშლაზე, ღრმა კონტროლზე საბჭოთა აპარატის შიგნით. აი რატომ შექმნა პარტიამ პარტიული და საბჭოთა კონტროლის ფართოდ განშტოებული ორგანოები. აი რატომ უნდა გაძლიერდეს პარტიული აპარატის შიგნითაც ურთიერთი კონტროლი და ნაკლოვანებათა კრიტიკა.

საბჭოთა დემოკრატიის გაფართოება პარტიულ ორგანიზაციებს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს, ვინაიდან პარტია — კლასის ავანგარდი — იძლევა დემოკრატიის ნიმუშებს. ვინაიდან ჩვენი პარტია ყოველდღე გვასწავლის, თუ როგორ უნდა დავუგდოთ ყური მასების ხმას, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მასების შემოქმედებითი გამოცდილება. ხშირად საბჭოთა აპარატის ცუდი მუშაობა განუყრელად არის დაკავშირებული იმ მოვლენასთან, რომ პარტიული ორგანიზაცია მოსწყდა მასებს.

პარტიამ უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გააკეთა, რომ აეწია პარტიული კრებების, პარტიული აქტივის კრებების როლი, აემაღლებინა მთელი პარტიული მასის აქტივობა, გაეძლიერებინა თავის რიგებში თვითკრიტიკა. ძირითადი აზრი ორგანიზაციული გარდაქმნისა, რომელიც XVII ყრილობამ დასახა, იმაში მდგომარეობს, რომ პარტიული ხელმძღვანელობა დაუახლოვოთ მასებს, რომ უფრო ფართოდ გავშალოთ შინაპარტიული დემოკრატია. და რამდენიც არ უნდა გარდაექმნას პარტიულმა ორგანიზაციამ თავისი მუშაობა, ეს გარდაქმნა იქნება ფორმალური, ფუჭი, თუ არ დავიცავთ არჩევის წესს, თუ პარტიული კომიტეტი პერიოდულად არ აბარებს ანგარიშს იმ ორგანიზაციას, რომელმაც იგი აირჩია, თუ მთლად ან ნაწილობრივ ჩახშობილია თვითკრიტიკა.

არის ისეთი პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც უკვე დიდი ხანია დაიტრაბახეს გარდაქმნა, მაგრამ რომლებშიაც დაუშვებლად ირღვევა არჩევის წესი და დღემდეც ძალიან გავრცელებულია დანიშვნისა და „კოოპტირების" პრაქტიკა არჩევის ნაცვლად. ცალკეულ პირველად ორგანიზაციებში ხდება ხოლმე, რომ კომუნისტებმა არც კი იციან, თუ ვინ შედის პარტიულ კომიტეტში — იმდენად იცვლება „კოოპტირებით" ამ კომიტეტის შემადგენლობა. მაგალითად, კოსტრომაში, ივანოვოს ოლქში, უკანასკნელი 15 თვის მანძილზე ძლიერ შეიცვალა საქალაქო კომიტეტის ბიუროს შემადგენლობა. ამჟამად ბიუროს ნახევარი „კოოპტირებული" მუშაკებისაგან შესდგება.

მეორე მაგალითი. ჩელიაბინსკის თუთიის ქარხანაში უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს მდივანთა თამაში, წლის განმავლობაში გამოიცვალა ოთხი მდივანი და არც ერთი მდივანს არ ჩაუბარებია ანგარიში პარტიული ორგანიზაციისათვის.

ხშირად დემოკრატიას ამახინჯებენ ეგრეთწოდებული „გამოკითხვით", როცა პარტიული კომიტეტები უმნიშვნელოვანეს საქმეებს სწყვეტენ არა განხილვის მეთოდით, არამედ ქაღალდზე ნაჩქარევი, ხშირად ფორმალური, ხმის მიცემის გზით. „პრავდის" ფურცლებზე უკვე არა ერთხელ ყოფილა მოყვანილი ასეთი ფაქტები. იმავე ივანოვოს ოლქის საოლქო კომიტეტში გამოკითხვის გზით სწყვეტდნენ ისეთ მნიშვნელოვან საქმეებს, როგორიც არის: საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, ორი ახალი რაიკომის შექმნა ივანოვოში, მუშაკთა შემოწმება და შერჩევა საქალაქო რაიკომებისათვის და სხვა. პარტიული მუშაობის კარდინალური საკითხების ასე განხილვა აუცილებლად უბრალო კანცელარიულ ტექნიკად იქცევა. ასე უკარგავენ აზრს პარტიულ ცხოვრებაში იდეურ შინაარსს, დემოკრატიასა და თვითკრიტიკას!

„რას გვიჩვენებს საკითხების გამოკითხვის გზით გადაწყვეტის მეთოდი? იგი გვიჩვენებს, რომ ირღვევა ბიუროს წევრთა ელემენტარული უფლებები, ირღვევა კოლექტიური ხელმძღვანელობის მეთოდები, მცირდება და კნინდება ბიუროს როლი. ეს ამომწურავი სიცხადით გამოირკვა. ამას იწვევს უმნიშვნელოვანეს საკითხთა გამოკითხვის გზით გადაწყვეტის მეთოდი. ჩვენ არა ვართ იმის წინააღმდეგი, რომ საკითხების ნაწილი სწყდებოდეს „გამოკითხვით", მაგრამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი მიღებულ უნდა იქნას ხელმძღვანელი კოლექტივის ყველა წევრის მიერ განხილვის საფუძველზე. გამოკითხვის პრაქტიკა უმნიშვნელოვანეს პერსონალურ დანიშვნათა მიმართ იწვევს შემთხვევით დანიშვნებს და არასაკმაო მოფიქრებულობას ამა თუ იმ კანდიდატის წამოყენების დროს. საბოლოო ანგარიშში, იგი იწვევს ხელმძღვანელი კოლექტივის წევრთა არასაკმაო პასუხისმგებლობას კოლექტივის მთელი მუშაობისათვის". (ა. ჟდანოვი. „სარატოვის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური შეცდომების გაკვეთილები").

თვითკრიტიკა — შინაპარტიული დემოკრატიის ქვაკუთხედია. ნამდვილი დემოკრატია — ეს არის გულისხმიერება ძირეული მუშაკის, რიგითი კომუნისტის, უპარტიო მუშის ხმის მიმართ. ეს არის უნარი გესმოდეს, თუ რას ლაპარაკობს კომუნისტი პარტიულ კრებაზე. პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელსაც ახასიათებს ყოყოჩობისა და მედიდურობის თვისებები, რომელსაც არ შესწევს მასების ხმისათვის ყურის დაგდების უნარი, იმის უნარი, რომ მოუსმინოს ძირეულ მუშაკს, უკვე აღარ არის ნამდვილი პარტიული ხელმძღვანელი. ასეთი ხელმძღვანელი, როგორც ამას პრაქტიკა გვიჩვენებს, იმის ნაცვლად, რომ ყურადღებით მოუსმინოს მუშაკს, ძალიან ხშირად საბაბით თუ უსაბაბოდ „აკრავს" მას უკლონისტის, მოკონკლავის და სხვა იარლიყებს.

უნდა შევეძლოს ადამიანების მოსმენა, უნდა შეგვეძლოს გულისხმიერად მოვეკიდოთ ყოველი მუშის ყოველგვარ განცხადებას, ვისაც არ უნდა ეხებოდეს ეს განცხადება. უნდა შეგვწევდეს კრიტიკის მოსმენის უნარი, რა რიგ არასასიამოვნო იყოს და ვისაც არ უნდა ეხებოდეს იგი, და მხოლოდ მაშინ შეიძლება გაკრიტიკება და სხვების სწავლება.

პარტიამ დიდი ხანია დაჰგმო თავიდან ბოლომდე ყალბი თეორია, რომ გამარჯვებათა პირობებში, გარღვევათა ლიკვიდაციის პირობებში შეიძლება შევასუსტოთ თვითკრიტიკა. ასეთი თეორიები აუცილებლად იწვევენ კლასობრივი სიფხიზლის მოდუნებას. ასეთი თეორიები აუცილებლად იწვევენ მედიდურობას და თვითდამშვიდებას, ხოლო ხშირად — საყოფაცხოვრებო გახრწნასაც და ამით სერიოზულად ასუსტებენ ჩვენს ძალებს.

„ბოლშევიზმის ძალა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას არ ეშინია თავისი შეცდომების აღიარებისა. დაე პარტიამ, დაე ბოლშევიკებმა, დაე ჩვენი ქვეყნის ყველა პატიოსანმა მუშამ და მშრომელმა ელემენტებმა ამხილონ ჩვენი მუშაობის დეფექტები, ჩვენი მშენებლობის დეფექტები, დაე დასახონ ჩვენი ნაკლოვანებების ლიკვიდაციის გზები იმისათვის, რომ ჩვენს მუშაობაში და ჩვენს მშენებლობაში არ იყოს დამყაყება, ჭაობი, ლპობა, იმისათვის, რომ მთელი ჩვენი მუშაობა, მთელი ჩვენი მშენებლობა დღითი-დღე უმჯობესდებოდეს და წარმატებიდან წარმატებისაკენ მიდიოდეს" (სტალინი).

შინაპარტიული დემოკრატიის ურყევი კანონების დაცვა, თვითკრიტიკის გაშლა, მუშაობა მასების ნდობაზე დაყრდნობით — ეს არის უმნიშვნელოვანესი პრინციპი ჩვენი პარტიისა, რომელიც სათავეში უდგას მილიონებს და მიდის სოციალიზმისაკენ.

(„პრავდის" მოწინავე, 3 სექტემბ.

გაიხსნა ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა

მარგეიტი, 2 სექტემბერი. დღეს გაიხსნა ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა.

ყრილობის გახსნისას წარმოთქმულ სიტყვაში თავმჯდომარე კინმა, ილაპარაკა, საბჭოთა კავშირის — „ამ დიად პროლეტარულ სახელმწიფოს" შესვლაზე ერთა ლიგაში, — განაცხადა:

„მე ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია ის მივიჩნიოთ ერთერთ ყველაზე მძლავრ ფაქტორად იმ ფაქტორთა, შორის რომელნიც საერთაშორისო ფაშიზმის წინააღმდეგ მოქმედებენ".

შეეხო რა ჰიტლერის განცხადებას, რომ ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიას საბჭოთა კავშირისაგან გაუვალი უფსკრული ჰყოფს, კინმა სთქვა:

„ჰიტლერი სიტყვებს არ დასჯერდა. გერმანია დამატებით იარაღდება. ინგლის - გერმანიის საზღვაო შეთანხმებასთან შეფარდებით, იგი აშენებს ფლოტს, რომელიც მას მიანიჭებს ბატონობას ბალტიის ზღვაში და გახდება სერიოზულ მუქარად სკანდინავიისა და ბალტიის სახელმწიფოებისა და საბჭოთა კავშირისათვის".

კინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანია უარს ამბობს მიემხროს უშიშროების აღმოსავლეთის პაქტს, რომელიც, საბჭოთა კავშირმა და საფრანგეთმა წამოაყენეს.

დასასრულ კინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირმა დასდო ურთიერთ დახმარების პაქტები საფრანგეთსა და ჩეხო-სლოვაკიასთან.

„ჩვენ შეგვიძლია მივესალმოთ ამ შეთანხმებებს, — განაცხადა მან, — რადგან ისინი შეეფერებიან ერთა ლიგის წესდებასა და ხასიათს".

ჩინეთის წითელი არმიის შეტევა ხუნანის პროვინციაში

შანხაი, 2 სექტემბერი. როგორც „ნორდ ჩაინა დეილი ნიუსი" იუწყება, ჩინეთის წითელი არმიის ნაწილები ხო ლუნის სარდლობით თავისი ბაზიდან სანჯის რაიონში (ხუნანის პროვინციის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი) განაგრძობენ შეტევას ჩანდეზე. უკანასკნელი ცნობებით მათ აიღეს ძიხში.

ჩანდეში გამოცხადდა სამხედრო წესები. მისიონერები და წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი ქალაქიდან გარბიან. ქალაქში გულმოდგინედ ეძებენ იმ პირებს, რომლებსაც კავშირი აქვთ კომუნისტებთან. ხანკოუდან და შაშიდან ქალაქისაკენ გაგზავნეს ნანკინის ჯარების დიდძალი დამხმარე ნაწილები.

გაზეთის ცნობებით წითელი ნაწილები კარგად არიან შეიარაღებული და მომარაგებული. (ადს).

ირანის მთავრობის დელეგაცია მოემგზავრება საბჭოთა კავშირში

თეირანი, 1 სექტემბერი. დღეს საბჭოთა კავშირში გაემგზავრა ირანის მთავრობის დელეგაცია ირანის ხელოვნების საერთაშორისო კონგრესზე. დელეგაციას მეთაურობს ირანის განათლების მინისტრი ხიქმეტი.

ირანის გაზეთები ათავსებენ ცნობებს იმის შესახებ, რომ დელეგაციის გამგზავრების წინ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გაიმართა დარბაზობა. დარბაზობის დროს სიტყვები წარმოსთქვეს სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულმა ამხ. კარტაშევმა და განათლების მინისტრმა ხიქმეტმა. მათ აღნიშნეს ის ყურადღება, რომელსაც საბჭოთა კავშირში აქცევენ ირანის ხელოვნებას, აგრეთვე ლენინგრადის კონგრესის მნიშვნელობა საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის კულტურული კავშირის განვითარების საქმეში. (ადს).

ცნობა იტალიის ჯარების მიერ აბისინიის საზღვრის გადალახვის შესახებ

ლონდონი, 2 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„დირედავადან (აბისინიის ქალაქი ადის-აბება—ჯიბუტის რკინისგზაზე) მიღებული შეუმოწმებელი ცნობების თანახმად, იტალიის ჯარის მოწინავე დამცველმა რაზმმა 1000 კაცის შემადგენლობით და ადგილობრივი ჯარის ნაწილებმა 1500 კაცის შემადგენლობით გადალახეს აბისინიის საზღვარი ქალაქ ასაბას (წითელი ზღვის ნაპირზე, იტალიის კოლონია ერიტრეის სამხრეთ ნაწილში) დასავლეთით და შევიდნენ დანაკილის ოლქში. ცნობაში აღნიშნულია, რომ დანაკილელები გარბიან და სტოვებენ თავიანთ სოფლებს. (ადს).

პროფკავშირების ყრილობაზე ინგლისში

მარგეიტი, 2 სექტემბერი. თავის შესავალ სიტყვაში პროფკავშირთა ყრილობაზე თავმჯდომარე კინმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ინგლისის პროფკავშირები მზად არიან მხარი დაუჭირონ ინგლისის მთავრობას, თუ იგი იტალიის წინააღმდეგ საომარ ღონისძიებას მიჰმართავს. მან განაცხადა: ერთა ლიგამ უნდა აიძულოს იტალიის მთავრობა ხელი აიღოს ომზე, მან უნდა მოუწოდოს ყველას აკრძალონ სამხედრო მასალების გაგზავნა იტალიაში, უარი უთხრან იტალიის მთავრობას ყოველივე სახის ფინანსიურ დახმარებაზე და დახურონ სუეცის არხი იტალიის გემებისათვის. კინის ამ განცხადებას ყრილობის დელეგატები ტაშით შეხვდნენ.

ახალი ზელანდიის მუშათა პარტიის წარმომადგენელი თავისი და კანადის პროფკავშირთა წარმომადგენლის სახელით მიესალმა კინის განცხადებას (ადს).

კომუნისტებთან ერთიანი ფრონტისათვის

ვენა, 2 სექტემბერი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლოზანის (შვეიცარია) ორგანიზაციის რწმუნებულთა კრებამ ხმის დიდი უმრავლესობით გადასწყვიტა მიიღოს კომპარტიის წინადადება, რათა შეერთებული ძალით გამოვიდეს კონსტიტუციის შეცვლის წინააღმდეგ იმ პლებისციტზე, რომელიც 8 სექტემბერს შესდგება. გადასწყდა კომპარტიის, სოციალ - დემოკრატიული პარტიის და პროფკავშირთა გაერთიანების ხელმოწერით გამოსცენ საერთო მიმართვა მუშებისა, გლეხებისა და ყველა მშრომელისადმი. (ადს).

მუშები უარს აცხადებენ იტალიის გემების დატვირთვაზე

ლონდონი, 2 სექტემბერი. გუშინ კეპტოუნის (სამხრეთ აფრიკის კავშირი) ნავთსადგურის მუშებმა უარი განაცხადეს იტალიის გემის „საბიას" დატვირთვაზე. გემი უნდა დაეტვირთათ ხორცით, რომელიც იტალიის ჯარებისთვის იგზავნება სომალიში. ნავთსადგურის მუშათა საქციელი მოიწონა შრომის ადგილობრივმა ფედერაციამ. მუშებმა პრემიერ ჰერცოგს გაუგზავნეს წერილი და განაცხადეს რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ გამოვიდნენ ყოველგვარი მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც „ხელს უწყობს უსამართლო ომს". მუშებმა აგრეთვე მიმართეს სამხრეთ აფრიკის სხვა ნავთსადგურების მუშებს მოწოდებით მიჰბაძონ მათ მაგალითს.

დურბანში (სამხრეთ აფრიკის კავშირი) ნავთსადგურის ზანგმა მუშებმა უარი განაცხადეს დაეტვირთათ ხორცი იტალიის გემ „პერმაზე". (ადს).

ახალი გაწვევა იტალიის არმიაში

რომი, 2 სექტემბერი. გამოცხადდა ბრძანება, რომლის მიხედვითაც არმიაში იწვევენ საჰაერო ძალებზე მიწერილ სამხედრო ვალდებულ პირთ, რომლებიც დაბადებული არიან 1909, 1910 და 1911 წლებში. ამავე დროს ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეული არიან სპეციალისტთა და მაღალი კვალიფიკაციის მუშათა — მჭედელთა, ზეინკალთა და სხვ. ახალი ჯგუფები.

გუშინ ნეაპოლიდან აღმოსავლეთ აფრიკაში კვლავ გაგზავნეს 3.300 შავპერანგიანი.

რომი, 2 სექტემბერი. სტეფანის სააგენტოს გადმოცემით, სექტემბერში სამხედრო სამსახურში გაიწვევენ 1911, 1913 და 1914 წლებში დაბადებულ 200 ათას კაცს. (ადს).

დემონსტრაცია აბისინიის დასაცავად

ნიუ-იორკი, 1 სექტემბერი. ჩიკაგოში, პოლიციის აკრძალვის მიუხედავად, გაიმართა 10 ათასი კაცისაგან შემდგარი დემონსტრაცია, რომელიც ერთიანი ფრონტის საფუძველზე მოაწყო „აბისინიის დაცვის კომიტეტმა".

დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა მრავალი ზანგი მუშა. პოლიცია თავს დაესხა დემონსტრაციას და სცემა ბევრი დემონსტრანტს. დააპატიმრეს 500 კაცი. დაპატიმრებულთა შორის არის ზანგ მუშათა ხელმძღვანელი — კომპარტიის წევრი ხეივუდი, რომელსაც პოლიციამ სასტიკად სცემა. (ადს).

ელვა

პარიზი. „იუმანიტეს"

კაშენს, ტორეზს, კუტიურიეს.

ასლი: მოსკოვი, „პრავდას"

თქვენთან ერთად ვგლოვობ ჩვენი მეგობრის, საფრანგეთის მუშათა კლასის მეგობრის, საფრანგეთის ხალხის ღირსეული შვილის, ყველა ქვეყნის მშრომელთა მეგობრის, იმპერიალისტური ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ მშრომელთა ერთიანი ფრონტის მღაღადებლის — ამხანაგ **ანრი ბარბიუსის** გარდაცვალებას.

დაე, მისი სიცოცხლე, მისი ბრძოლა, მისი იმედები და პერსპექტივები მაგალითის მიმცემი გახდნენ ყველა ქვეყნის მშრომელთა ახალი თაობისათვის კაპიტალისტური მონობისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში.

ი. სტალინი

იტალია-აბისინიის კონფლიქტი

პროტესტი იტალიის ელჩისა ადის-აბებაში

ბერლინი, 3 სექტემბერი. („პრავდის" საკ. კორესპონდენტი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობით ადის-აბებიდან, იტალიის ელჩმა დღეს მკაცრი პროტესტი განუცხადა აბისინიის მთავრობას ინგლის ამერიკის კონსორციუმისთვის კონცესიის გადაცემის გამო, ვინაიდან ამ აქტში იგი ხედავს აბისინიაში იტალიის ინტერესების უხეშ დარღვევას. აბისინიის მხრივ ამაზე აცხადებენ, იტალიის პროტესტი დასაბუთებული არ არისო.

შემდეგ გერმანიის სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუმცა ინგლისის მთავრობამ თავისი ელჩის პირით „ურჩია" აბისინიის მეფეს გადაედო საკონცესიო ხელშეკრულების დამტკიცება, ეს ხელშეკრულება მაინც შეტანილია ამერიკისა და აბისინიის სავაჭრო რეესტრებში. ინგლისელი ფინანსისტი რიკეტი, რომელმაც ხელი მოაწერა ამ ხელშეკრულებას, ამჟამად გზაშია — მიემგზავრება ლონდონს, საიდანაც ჟენევაში წავა და მონაწილეობას მიიღებს ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე, როგორც ექსპერტი.

იტალიის მისიის წარმომადგენელმა ადის-აბებაში ბაცანიმ გერმანიის საინფორმაციო ბიუროს კორესპონდენტს განუცხადა, რომ მალე იტალიის მისიის მთელი შემადგენლობა დასტოვებს აბისინიის დედაქალაქს. ამის შემდეგ იტალიის ყუმბარამზიდები ჰაერიდან ყუმბარებს დაუშენენ ადის-აბებას. 48 საათით ადრე ყუმბარების დაშენამდე იტალიის სარდლობას განზრახული აქვს გააფრთხილოს მოსახლეობა, რომ ქალაქს სროლას აუტეხენ.

„ფრანკფურტერ ცაიტუნგი" აცხადებს, რომ ინგლის - აბისინიის კონცესიის საპასუხოდ მუსოლინი თავის მხრივ ახალ მანევრს მიმართავს. მისი დავალებით იტალიის მთავრობის წარმომადგენლებმა ერთ პატარა ქალაქში ჟენევის მახლობლად მოლაპარაკება დაიწყეს იაპონიის ფინანსიური წრეების წარმომადგენლებთან იმ საკითხზე, რომ ერთად აწარმოონ აბისინიის წიაღის ექსპლოატაცია (ადს).

აბისინიის ნავთობის კონცესიის შეთანხმების გარშემო

ლონდონი, 2 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფი" იუწყება, რომ საკონცესიო შეთანხმება, რომელიც მიღწეულია აბისინიის მთავრობასა და ინგლის - ამერიკის „აფრიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციისა და განვითარების კომპანიას" შორის, ჰგულისხმობს ყოველწლიურად 2,5 მილიონი ტონა ნავთობის ექსპორტს. ყოველ კომპანიას, რომელიც კი შეთანხმების შესასრულებლად შესდგება, სათავეში უნდა ედგას აბისინიელი, ან ამერიკელი დირექტორი.

გაზეთი დასძენს, რომ კონცესიის გადაცემის ცნობამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ადის-აბების უცხოელთა, წრეებში, ადის-აბებაში მყოფ უცხოელ ექსპერტთა აზრით საკონცესიო შეთანხმება გამანადგურებელ ლახვარს სცემს იტალიის ეკონომიურ გეგმებს აღმოსავლეთ აფრიკაში.

„ტაიმსის" ადისაბებელი კორესპონდენტი სწერს, რომ აბისინიის იმპერატორი უეჭველად უარჰყოფს „ინგლისის წინადადებას კონცესიის გაუქმების შესახებ" და საფუძვლად გამოიყენებს იმ გარემოებას, რომ 1906 წლის ხელშეკრულება აბისინიას არ ზღუდავს (ადს).

ინგლის-ამერიკის კონცესიის უპირატესობანი აბისინიაში

ლონდონი, 2 სექტემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით ადის-აბებიდან, აბისინიის მთავრობის წრეებში აღნიშნავენ, რომ კონცესიის გადაცემას ორი უპირატესობა აქვს:

პირველი ის, რომ კონცესიონერები ხელშეკრულების თანახმად დაუყოვნებლივ უხდიან აბისინიის მთავრობას დიდ თანხას, რომელიც, როგორც ფიქრობენ 1 მილიონ დოლარს შეადგენს და მეორეც — იტალიელთა შემოსევის შემთხვევაში, მათ ამ ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციის შესაძლებლობა არ ექნებათ კონცესიონერებისგან მიღებული თანხა სამხედრო მასალების შეძენას მოხმარდება.

აბისინიის მთავრობის მრჩეველმა, ამერიკელმა კელსონმა განაცხადა, რომ საკონცესიო ხელშეკრულების დადებას არ ახლდა საიდუმლო ოქმის ხელის მოწერა. მაგრამ გაბატონებულია ის აზრი, რომ რაიმე საიდუმლო შეთანხმება დადებულია. (ადს).

აბისინიის ხალხის დაცვის საერთაშორისო კომიტეტის ზრდა

პარიზი, 2 სექტემბერი. აბისინიის ხალხის დაცვის საერთაშორისო კომიტეტი იუწყება, რომ კომიტეტს შეუერთდა მრავალი. ორგანიზაცია და ცალკეული პირი, მათ შორის ერთა ლიგის მეგობართა შვეიცარიის კავშირი, ესპანეთის მშრომელთა საყოველთაო კავშირი, ეგვიპტის ახალგაზრდა მუსლიმანთა ასოციაცია, ლორდი სესილი, ლენსბერი და სხვ.

31 აგვისტოს შესდგა მოსამზადებელი კონფერენცია; გამომუშავებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი კონფერენციისათვის, რომელიც 3 სექტემბერს უნდა გაიხსნას:

1) აბისინიაში ფაშიზმის აგრესიის საფრთხე და მშვიდობიანობის დაცვა,

2) მშვიდობიანობის დასაცავად საერთაშორისო მოქმედების შეთანხმება (ადს).

გერმანიის საინფორმაციო ბიუროს კორესპონდენტის ცნობა

ბერლინი, 2 სექტემბერი. როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიუროს კორესპონდენტი ადის-აბებიდან იუწყება, მასთან საუბრის დროს იტალიის საელჩოს მდივანმა განაცხადა, რომ ამ დღეებში აბისინიას დასტოვებს იტალიის საელჩოს მთელი შემადგენლობა, აგრეთვე იტალიის უკანასკნელი ქვეშევრდომები, რომლებიც აბისინიაში ცხოვრობენ. ჰაერიდან ყუმბარების დაშენის შემთხვევაში ადის-აბების უცხოელი და დანარჩენი მოსახლეობა გაფრთხილებული იქნება 48 საათით ადრე.

იმავე კორესპონდენტის გადმოცემით, დღეს იტალიის ელჩმა აბისინიაში ნეგუსს განუცხადა პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ აბისინიამ ინგლის - ამერიკის კომპანიას გადასცა აბისინიის მიწის წიაღთა დამუშავების კონცესია. (ადს)

კომპარტიის და ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის ლოზუნგებით

პარიზი, 2 სექტემბერი. საფრანგეთის კომპარტიის ორგანოს „ლუმანიტეს" ყოველწლიურმა ტრადიციულმა დღესასწაულმა, რომელიც გუშინ შესდგა გარშაში, პარიზთან ახლოს, 150 ათას მშრომელს მოუყარა თავი და ჩატარდა კომპარტიისა და ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის ლოზუნგებით. სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. კაშენმა, რაკამონმა, დიუკლომ, ვაიან კუტიურიემ. ვაიან კუტიურიემ წაიკითხა წერილი ამჟამად მოსკოვში მყოფი მარტისა, რომელიც მოუწოდებს გაამართლონ ნდობა, რომლითაც მსოფლიოს პროლეტარიატი ეპყრობა საფრანგეთის მშრომელებს, როგორც პარიზის კომუნის მებრძოლთა ბაძიშებს. „ლუმანიტე" აღნიშნავს, რომ „ლუმანიტეს" ტრადიციულ დღესასწაულს ჯერ არასოდეს არ მოუყრია თავი მშრომელთა ასეთი მრავალრიცხოვანი მასისთვის. (ადს).

საბჭოთა კავშირში

ამხ. ბერიას მოხსენების დამუშავება კურსკში

კურსკი, 1 სექტემბერი. პარტიის კურსკის საქალაქო კომიტეტი ატარებს პროპაგანდისტთა სემინარს, რომელზედაც შესწავლილი იქნება ამხ. ბერიას მოხსენება „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის". პირველად პარტორგანიზაციებში წრეებისა და სკოლებისათვის შემუშავებულია თემატიური გეგმა. ამ დღეებში ამ საკითხზე მოწვეული იქნება ქალაქის პარტაქტივის კრება. შემდეგ მოხსენების შესწავლა დაიწყება კურსკის ყოველ პარტიულ ორგანიზაციაში. (ადს).

მანჯურიის თეთრგვარდიელი ბანდიტების პროცესი

ირკუტსკი, 1 სექტემბერი. 31 აგვისტოს დილის და საღამოს სხდომებზე დაწვრილებით დაჰკითხეს ბრალდებულებს, რომლებმაც მთლიანად დაადასტურეს მათ მიერ წინასწარი გამოძიების დროს მოცემული ჩვენება.

გასამართლებისას სავსებით გამოაშკარავდა თეთრგვარდიელთა და მათი იმ უცხოელი პატრონების ტერორისტული და დივერსიული მუშაობა, რომელთა დავალებითაც თეთრგვარდიელი ბანდიტები მოქმედებდნენ.

უცხოეთის ერთი სახელმწიფოს სამხედრო მისიებთან თეთრგვარდიელი ბანდიტების ამ ურთიერთობის დეტალები სასამართლომ გამოარკვია დახურულ სხდომაზე. მთელი დღე 1 სექტემბერი მოუნდა მხარეთა კამათს და ბრალდებულთა უკანასკნელ სიტყვებს.

საღამოს 10 საათზე ირკუტსკის დროით უზენაესი სასამართლოს გამსვლელი სესია გავიდა სათათბიროდ განაჩენის გამოსატანად. განაჩენს დღესვე მოელიან.

განაჩენი ჯაშუშებისა და დივერსანტების საქმეზე

ირკუტსკი, 2 სექტემბერი. თათბირის შემდეგ, რომელმაც ორსაათნახევარს გასტანა, სსრ კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელმა სესიამ გამოაქვეყნა ბრალდებულ თეთრგვარდიელთათვის გამოტანილი განაჩენი. განაჩენში სავსებით დასტურდება სამივე ბრალდებულის ჯაშუშურ - მზვერავი და დივერსიულ - ტერორისტული მუშაობა ისინი მოქმედებდნენ თეთრგვარდიელთა ორგანიზაციის დავალებით, რომელშიც შედიოდნენ, და ერთ სახელმწიფოს მანჯურიის სამხედრო მისიების დავალებით. ეს მისიები ტერორისტებს და დივერსანტებს აწვდიდნენ იარაღს, ცეცხლისწასაკიდებელ ნივთიერებას. ამ მისიებს აგრეთვე გადმოჰყავდათ შეიარაღებული ბანდები საბჭოთა ტერიტორიაზე.

უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელი სესიის განაჩენით, ბრალდებულებს კობილკინს, პერელადოვს და ოლეინიკოვს მიესაჯათ სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, ქონების კონფისკაციით.

ირკუტსკის მშრომელნი, რომლებითაც კლუბის დარბაზი გაჭედილი იყო, განაჩენს მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ამხ. მოლოტოვის საუბარი

მოსკოვის ოლქის მოლოტოვის სახ. კოლმეურნეობის წევრებთან

მოსკოვი, 2 სექტემბერი. 1 სექტემბერს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს სხდომების დარბაზში შესდგა საუბარი ამხ. მოლოტოვსა და მის სანახავად მოსულ კალუგის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის დამკვრელ წევრებს შორის. ეს კოლმეურნეობა ერთერთი მოწინავე კოლმეურნეობაა მოსკოვის ოლქში. დელეგაციას, რომელიც 21 კაცისაგან შესდგება, მეთაურობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე — კომკავშირელი ამხ. ნ. ერშოვი; მონაწილეობენ ბრიგადირები — ნ. სოკოლოვი, ა. ხლოპკოვი, ვ. ხოხლოვი, კოლმეურნე ქალი ა. გრომოვა, პიონერი ავიომოდელისტი კოლია სოკოლოვი და სხ. (ადს).

100 ახალი კულტურული მაღაზია

მოსკოვი, 2 სექტემბერი. სასოფლო რაიონებში სახელმძღვანელოთა ღია ვაჭრობის გასაშლელად სამომხმარებლო კოოპერაცია მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის ხსნის 100 ახალ კულტურულ მაღაზიას. მათი მშენებლობისათვის და მოსაწყობად გამოყოფილია ერთი მილიონი მანეთი.

ყველაზე მეტი კულტმაღაზია გაიხსნება ცალკეულ მხარეებსა და, ოლქებში: 10—შორეულ აღმოსავლეთში, 8 — ომსკის ოლქში და სხვ. (ადს).

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა
გამოვიდა და იყიდება საქპარტგამომცემლობის და სახელგამის წიგნის მაღაზიებში.
ლ. ბერია—„ამ.-კავკ. ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის".
ფასი 1—50 კაპ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ანრი ბარბიუსის ხსოვნას

უკანასკნელი გამოთხოვება

ანრი ბარბიუსის ცხედრის გაცილება საფრანგეთს

მოსკოვი, 2 სექტემბერი. პროლეტარული დედაქალაქის მშრომელნი ამ დღეებში ათეულათასობით მიაწყდნენ მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზს, რათა უკანასკნელად გამოსთხოვებოდნენ მგზნებარე მწერალ — რევოლუციონერს.

2 სექტემბერს, ისევე როგორც წინადღეს, ცოცხალ ყვავილთა გვირგვინებით უხვად მორთულ კუბოსთან გაიარეს მუშებმა, მწერლებმა, არტისტებმა, მხატვრებმა, სტუდენტებმა, მეცნიერებმა, პიონერებმა.

[illegible] ახლოვდება გამოთხოვების უკანასკნელი საათები. დარბაზში შემოდიან ამხანაგები **მოლოტოვი, ლ. კაგანოვიჩი, ჩუბარი და მიქოიანი.** 5 წუთის განმავლობაში ისინი დგანან სამგლოვიარო საგუშაგოზე ანრი ბარბიუსის კუბოსთან. მათ სცვლიან ამხ. **ხრუშჩოვი, ბულგანინი, სტასოვა და შჩერბაკოვი.**

საბჭოთა კავშირის ერთგულ მეგობარს [illegible] დროშებით უკანასკნელად ეთხოვებიან მოსკოვის [illegible] პროლეტარების დელეგაციები.

[illegible] 18 საათზე დარბაზში შესვლა სწყდება. დარბაზში რჩებიან მხოლოდ განსვენებულის უახლოესი მეგობრები.

კუბოს კვარცხლბეკთან საპატიო ყარაულში დგებიან ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ქალთა საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენელნი.

შემდეგ საპატიო ყარაულში დგება უხუცესი მეცნიერი — საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ა. პ. კარპინსკი, რომელიც მოვიდა, რათა გამოსთხოვებოდა კულტურის გამოჩენილ რაინდს, აგრეთვე მწერლები **დემიან ბედნი, კირშონი, სტავსკი, ნიკულინი, ვიშნევსკი.**

საპატიო ყარაულის უკანასკნელ ცვლაში არიან ამხ. **ხრუშჩოვი, ბულგანინი, მანუილსკი, მარტი, შვერნიკი, სტასოვი, კოლცოვი, და სტეცკი.**

19 საათსა და 45 წუთზე მათ ასწიეს კუბო, ხელით გამოიტანეს ქუჩაში და დადგეს კატაფალკზე.

სამგლოვიარო პროცესია მიემართება ოგარევისა და გორკის ქუჩებით ბელორუსია — ბალტიის ვაგზლისაკენ. წინ მიაქვთ მრავალი ასეული გვირგვინი — საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრკ-ის სახკომსაბჭოსაგან, სსრკ-ის ცაკისაგან, კომინტერნის აღმასკომისაგან, რემედასის აღმასკომისაგან, საფრანგეთის კომპარტიის ც. კ.-საგან, მოძმე კომპარტიების ცენტრალური კომიტეტებისაგან, საბჭოთა მწერლების კავშირისაგან, გვირგვინები მრავალრიცხოვანი ორგანიზაციებისაგან, მუშებისა და კულტურის ოსტატებისაგან.

პროცესიას თან ახლავს ჯარის საპატიო ესკორტი, რომელიც შესდგება ქვეითა ჯარის, არტილერიისა და კავალერიის ნაწილებისაგან. ჰაერში ნელანელა აკეთებს რკალებს თვითმფრინავთა ესკადრილია და სალუტით ეთხოვება საფრანგეთის ხალხის ღირსეულ შვილს.

კუბოს მიჰყვება მოსკოვის მრავალი ათასი მშრომელი, რომელნიც უკანასკნელად ეთხოვებიან ანრი ბარბიუსს.

⁂

20 საათსა და 55 წუთზე სამგლოვიარო კორტეჟი აღწევს ბელორუსია — ბალტიის ვაგზლის მოედანს.

დამკრძალავი კომისიის სახელით ამხ. ბულგანინი ხსნის სამგლოვიარო მიტინგს და ამბობს გამოსათხოვარ სიტყვას.

ამხ. ბულგანინის სიტყვა

ანრი ბარბიუსი ის სახელია, რომელსაც ამ [illegible] რამდენიმე დღეა სევდით წარმოსთქვამენ მოსკოვისა და მთელი ჩვენი ქვეყნის მუშები და მშრომელნი.

ანრი ბარბიუსი — ის სახელია, რომელსაც ამ დღეებში უდიდესი სევდის გრძნობით წარმოსთქვამენ მთელი მსოფლიოს მშრომელნი და პროლეტარები.

ანრი ბარბიუსი ის სახელია, რომელსაც იცნობენ ჩვენი ქვეყნის უფართოესი მასები. მას იცნობენ არა მარტო ლიტერატურის მოღვაწენი. მას იცნობენ არა მარტო კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენი. მას იცნობენ მუშათა ფართო მასები, კოლმეურნენი, წითელ-არმიელები, ბავშვები.

ანრი ბარბიუსს იცნობს მთელი მსოფლიო როგორც გმირ, დაუღალავ მებრძოლს ფაშიზმის წინააღმდეგ. ეს პოპულარობა და სიყვარული მან მოიხვეჭა არა მარტო თავისი საინტერესო ლიტერატურული ქმნილებებით, არამედ იმითაც, რომ ის თავის პიროვნებაში ათავსებდა მწერლისა და რევოლუციონერის უმშვენიერეს თვისებებს.

მისი სახელი გახდა მუშათა კლასის საქმის, კომუნიზმის საქმის ერთგულების სიმბოლო, მისი სახელი გახდა ომთან და ფაშიზმთან ბრძოლის სიმბოლო.

იგი იყო ჩვენი საბჭოთა კავშირის მახლობელი და მგზნებარე მეგობარი. მისი გული სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სძგერდა საბჭოთა სოციალისტური კავშირის მშრომელთა ერთგულებითა და სიყვარულით.

მოსკოვს მრავალჯერ უხილავს ამხანაგი ანრი ბარბიუსი თავის სტუმრად. ანრი ბარბიუსი მოისწრაფოდა აქეთ, მოსკოვისაკენ, ჩვენი ქვეყნის გულისაკენ.

ერთხელ მოსკოვის საბჭოს პლენუმის ერთერთ სხდომაზე იგი გვიზიარებდა თავის შთაბეჭდილებებს მოსკოვის შესახებ და ამბობდა: — როცა აქ, მოსკოვს, ჩამოვდივარ, უშუალოდ განვიცდი ყოველ ნივთს. ყოველ ფაქტს, რათა შემდეგ შინ, ჩემს ქვეყანაში რომ დავბრუნდები, სრულიად კონკრეტულ ფაქტებით მოვუთხრო იქაურებს, თუ როგორ მძლავრად იზრდება საბჭოთა კავშირი. იგი ამბობდა, რომ იბრძოლებდა სოციალიზმის მშენებელ საბჭოთა კავშირის დიადი საქმისათვის.

და ის იბრძოდა, იბრძოდა თავის ნიჭიერ ნაწარმოებთა იარაღით, იბრძოდა თავისი მგზნებარე სიტყვით. შესანიშნავი გამოსვლებით ომისსაწინააღმდეგო, ანტიფაშისტურ საერთაშორისო კონგრესებზე.

ვაცილებთ რა ამხ. ანრი ბარბიუსს, ჩვენ, ბოლშევიკთა პარტიის მოსკოვის კომიტეტის სახელით, მოსკოვის საბჭოს სახელით, მოსკოვის ყველა მშრომელის სახელით. მის კუბოს წინაშე ვაცხადებთ, რომ ბოლომდე ერთგული ვიქნებით ამ საქმისა, რომლისთვისაც იგი იბრძოდა.

ამ საუცხოო, თავდაბალი, მაგრამ ამავე დროს დიადი ადამიანის სახე ყოველთვის დარჩება ჩვენს გულში და ჩვენს ხსოვნაში.

შემდეგ ამხ. ბულგანინი სიტყვას აძლევს ამხ. ანდრე მარტის, რომელიც გამოდის კომინტერნის აღმასკომისა და საფრანგეთის კომპარტიის ც. კ-ის დავალებით.

ამხ. მარტის სიტყვა

ამხანაგებო! ჩვენ აქ უნდა მოვიხადოთ უკანასკნელი ვალი — კომინტერნის აღმასკომისა და საფრანგეთის კომპარტიის სახელით სათანადო მივუზღოთ ჩვენს საყვარელ ამხანაგს — ანრი ბარბიუსს.

ამხ. მარტი მკაფიო და ძლიერი შტრიხებით გვიხატავს მწერალ — რევოლუციონერის მშვენიერ, დაუვიწყარ სახეს. რომელმაც გაჩაღებული იმპერიალისტური ომის დროს გაბედულად აღიმაღლა ხმა სისხლისმსმელი, ძმათამკვლელი ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ სამუდამოდ დაადგა მუშათა კლასის საქმისათვის [illegible] გზას,

შევიდა რა საფრანგეთის კომუნისტურ პარტიაში, — განაგრძობს ამხ. მარტი, — ანრი ბარბიუსი მთელ თავის არსებას ანდომებს მსოფლიოს ჩაგრულთა საქმისათვის ბრძოლას. იგი, გამოჩენილი მწერალი, მთელ თავის შემოქმედებას ახმარს ბრძოლას ახალი ომის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის დაცვას, მისი სწრაფი გაფურჩქვნის სწორად ჩვენებას. სწორედ ბარბიუსმა, რომენ როლანთან ერთად, გააკეთა სასახელო საქმე — ომისსაწინააღმდეგო კონგრესის მოწვევა ამსტერდამში.

— ანრი ბარბიუსი დიდი ფრანგია! — აცხადებს ამხ. მარტი. იგი არის იმ საფრანგეთის შვილი, რომელიც ჩვენ გვიყვარს. ანრი ბარბიუსი არის მარატის საფრანგეთის, იაკობინელთა საფრანგეთის შვილი, ანრი ბარბიუსი არის პარიზის დიდი კომუნის საფრანგეთის შვილი.

ანრი ბარბიუსი უდროვოდ გამოესალმა სიცოცხლეს, და დედამიწის მშრომელთა მილიონები ღრმა მწუხარებით შეხვდნენ ამ ამბავს.

შენი ნეშტის წინაშე, ანრი ბარბიუს ამთავრებს ამხ. მარტი, — ჩვენ ვხრით ჩვენს დროშებს. შენთვის საუკეთესო ძეგლი იქნება ერთიანი ფრონტის შექმნა და განმტკიცება მთელს მსოფლიოში.

საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით გამოსათხოვარ სიტყვას ამბობს ამხ. კოლცოვი.

ამხ. კოლცოვის სიტყვა

ღრმა მწუხარებით ვეთხოვებით ჩვენ, საბჭოების ქვეყნის მწერლები, ჩვენს ამხანაგს, თანამებრძოლსა და მეგობარს — ანრი ბარბიუსს. იგი ძვირფასია ჩვენთვის. მისი სახით ჩვენ ვკარგავთ ღვიძლ ძმას, ჩვენი ერთსულოვანი ოჯახის წევრს.

წიგნი „ცეცხლში" ბარბიუსის საუკეთესო წიგნია. ეს არის წიგნი — მებრძოლი, [illegible] ეს მებრძოლი. მრავალ სხვაზე [illegible] საშიში ამოჩნდა. მან გადალახა დუმილისა და სიცრუის კორდონები, რომლებიც ომს გარს ერტყა. მან ომს ჩამოჰგლიჯა გმირობის ოფიციალური ნიღაბი. დაგვანახა მისი ნამდვილი სახე, მისი [illegible] საშინელი ბუნება, და ბარბიუსის წიგნი, მის სახელთან ერთად, იცოცხლებს საუკუნეთა განმავლობაში, როგორც ადამიანის ცოცხალი დოკუმენტი. როგორც რეალისტური ხელოვნების დიდი ქმნილება.

სტალინმა მწერლებს სულის ინჟინრები უწოდა. ჩვენ, სულის საბჭოთა ინჟინრებს, ბედნიერი წილი გვხვდა. სოციალიზმის ქვეყანაში, ლენინისა და სტალინის ქვეყანაში მწერლებმა მიიღეს ადამიანის [illegible] მასალა. რა ბედნიერებაა ამ მასალით მუშაობა! ბარბიუსს, კაპიტალისტური საზოგადოების უტყუარ მხატვარს, მასალად ჰქონდა ომისა და კრიზისის მსხვერპლთა დასახიჩრებული, ნახევრად გათელილი სული, კაპიტალის სასოწარკვეთილ მონათა დავრდომილი სული. მამაცურად და ნაზად, მზრუნველობით და სიყვარულით აქანდაკებდა იგი თავის ქმნილებებს ამ მასალიდან, ეძებდა ყოველივე საუკეთესოს და მშვენიერს, გაბედულს და საგულისხმოს. ბურჟუაზიას სურს დაამციროს მუშათა კლასი ტანჯვა-წამებით. ბარბიუსმა გვიჩვენა, რომ ტანჯვა-წამებისა და ტერორის ცეცხლში იბრძმედება და კაჟდება პროლეტარიატის ძალა. ფაშიზმი ბარბიუსისათვის ომის სინონიმი იყო. იგი გახდა დაუღალავი და მგზნებარე მებრძოლი ფაშიზმის წინააღმდეგ, ფაშისტური ტერორის მსხვერპლთა დამცველი.

მასში განუყრელი გახდნენ მხატვარი და მებრძოლი, მწერალი და რევოლუციონერი. და ასე ბოლომდე გაიარა მისმა პირდაპირმა, პატიოსანმა ლამაზმა სიცოცხლემ. მხოლოდ ერთ მხარეზე ილამებოდა ბარბიუსის მოღუშული სახე და ნათდებოდა მისი გამოხედვა. საბჭოების ქვეყანა იყო მისი სიხარული, აქ ისვენებდა იგი აზრებით, აქ ხედავდა მომავალ კაცობრიობას. იგი გახდა ჩვენი ქვეყნის ერთგული, საიმედო. მახლობელი მეგობარი. და როცა მწუხარებისა და სასოწარკვეთის წიგნების შემდეგ მან მოისურვა დაეწერა სიხარულისა და ძლიერების წიგნი, მან დასწერა, როგორც გედის სიმღერა, წიგნი სტალინზე, ბოლშევიკთა პარტიაზე, საბჭოთა კავშირზე.

ამხ. ბულგანინი ხურავს სამგლოვიარო მიტინგს. მეგობართა ღონიერი ხელები მაღლა სწევენ კუბოს და ფრთხილად მიაქვთ იგი ვაგონისაკენ, შპალერებად გამწკრივებული საპატიო სამხედრო ყარაულის გასწვრივ.

ვაგონი გვირგვინებით ივსება. პერონზე გაისმის შოპენის სამგლოვიარო მარში. მატარებლის გასვლამდე რამდენიმე წუთიღა რჩება. ვაგონის კარები დახურულია. მატარებელი დაიძრა. მას აცილებს „ინტერნაციონალის" ხმები. პროჟექტორების სხივებით განათებულ ბინდში ვაგონის უკანა კედელზე მოჩანს წარწერა: „მშვიდობით, ანრი ბარბიუს, საბჭოთა კავშირის მშრომელთა ერთგულო მეგობარო"!

✶

საზღვრამდე ანრი ბარბიუსის ცხედარს აცილებენ დამკრძალავი კომისიის წევრი ე. დ. სტასოვა და მწერლები სტავსკი და ვიშნევსკი. მათთან ერთად მიდიან განსვენებულის მეგობრები. რომლებიც მის ნეშტს მიაცილებენ საფრანგეთს. (ადს)

ანრი ბარბიუსის ხსოვნის საღამო

2 სექტემბერს, საღამოს 9 საათზე მწერალთა სასახლეში შესდგა ანრი ბარბიუსის ხსოვნის საღამო, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა **ამხ. ელენტმა.** ბარბიუსის მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ალ. ქეიშვილმა.

ბარბიუსი, აღნიშნავს მომხსენებელი, როგორც პოლიტიკური ფიგურა გამოავლინა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა, ხოლო საბოლოოდ ჩამოაყალიბა ოქტომბრის რევოლუციამ. რომანი „ცეცხლი" იყო ძლიერი პროტესტი, — იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ, ოქტომბრის რევოლუციამ ბარბიუსი მიიყვანა კომუნიზმამდე, ის შედის პარტიის რიგებში და თავის რევოლუციონურ სიტყვას უკავშირებს, რევოლუციონურ პრაქტიკას.

მომხსენებელი აგრეთვე განსაკუთრებით აღნიშნავს **ამხ. ბარბიუსის** ბრძოლას ფაშიზმის ტყვეების **ამხ. ტელმანის,** რაკოშის და თავის დროზე აგრეთვე **ამხ. დიმიტროვის** განთავისუფლებისათვის.

ბარბიუსის ინიციატივით მოწყობილი, კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესის დელეგატი, რესპუბლიკის სახალხო პოეტი **ამხ. გალაკტიონ ტაბიძე** სხდომას მოუთხრობს კონგრესის მუშაობის ერთ ეპიზოდს.

შემდეგ მოგონებებით ბარბიუსთან საფრანგეთში შეხვედრისა და საქართველოში მასთან მოგზაურობის შესახებ გამოდის მწერალი **არისტო ჭუმბაძე.**

ამჟამად ტფილისში მყოფი, ცნობილი უკრაინელი პოეტი **მიკოლა ბაჟანი** იგონებს ამხანაგ ბარბიუსის მოგზაურობას ხარკოვში და უკრაინის სოფლებში.

ანრი ბარბიუსის შესახებ ნარკვევი წაიკითხა მწერალმა **ლევან მეტრეველმა,** სიტყვით გამოვიდა აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო არტისტი **შალვა დადიანი,** პოეტმა დავით გაჩეჩილაძემ წაიკითხა ლექსი: „ორი სამშობლო".

მ. ზ.

მზადება საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

მოსკოვი, 2 სექტემბერი. საგამოფენო კომიტეტმა დასახა წინასწარი გეგმა საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე სოციალისტურ მეცხოველეობის ჩვენებისა.

მეცხოველეობის უდიდესი მიღწევები ნაჩვენები იქნება ნატურალური ობიექტებით: ფერმებით, ბაკებით, საღორეებით, ფარეხებით. თავლებითა და სხ. მნახველი აქ იპოვის ავტომატურ წყალსასმელს, ელექტრომწველავს, მექანიზებულ წმენდას, საკვების ავტომატურ მიცემას, გამოჩენილ რეკორდისტებს, წმინდა ჯიშისა და შეჯვარებულ საქონელს და სხ.

ადგილებზე სდგება საექსპერტო კომისიები ექსპონატების შესარჩევად. გამოფენის მონაწილეთათვის კომიტეტმა უკვე შეიმუშავა მნიშვნელოვანი მაჩვენებლები. ყოველ მეურნეობას, რომელიც ითვლება საკავშირო გამოფენაში მონაწილეობის კანდიდატად, უნდა ჰქონდეს სანიმუშოდ მოწყობილი აღრიცხვა და ანგარიშგება; ისინი უნდა აწარმოებდნენ აგრეთვე პირუტყვის ჩამომავლობის ჩაწერას. მეურნეობები, რომელნიც უკეთეს ექსპონატებს გამოჰგზავნიან, მიიღებენ პრემიებს (ადს).

დ. ქუჩულორია

საქ. შინავაჭრობის სახალხო კომისარი.

სასკოლო ბაზრობის მოწყობის შესახებ

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა და საკავშირო შინავაჭრობის სახ. კომისარიატის დირექტივის თანახმად ა.-წ. 10 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე, ე. ი. სასწავლო წლის დაწყების პერიოდში, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ჩატარდება სასკოლო ბაზრობა. ბაზრობა მოეწყობა შემდეგ ქალაქებში: ტფილისი, ბათომი, სოხუმი, ქუთაისი, ფოთი, თელავი, ხაშური, მახარაძე, ჭიათურა და სამტრედია. სასკოლო ბაზრობის ჩატარების მიზანია სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ბაზარზე ფართო მოხმარების ისეთი საგნების გამოტანა, რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობის პირველ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს.

მკითხველი საზოგადოება იცნობს იმ ფართო ღონისძიებას, რომელიც მიიღო პარტიამ და ხელისუფლებამ იმისათვის, რათა სავსებით მომზადებული შევხვდეთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას: ჩატარდა ყველა სასკოლო შენობათა რემონტი, დაჩქარებული წესით დამთავრდა ახალ სასკოლო შენობათა აგება, საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობამ ფართოდ გაშალა საჭირო სახელმძღვანელოთა ბეჭდვა - გამოცემის საქმე და სხვ.

ამ ღონისძიებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლე ახალგაზრდობის უზრუნველყოფას ისეთი სამოსწავლო - საკანცელარიო ნივთებით და ფართო მოხმარების საგნებით, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ ახალგაზრდა მოსწავლეთათვის. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს შინავაჭრობის სახალხო კომისარიატი საქართველოს უმნიშვნელოვანეს ქალაქებში აწყობს სასკოლო ბაზრობას. ამ ბაზრობაზე სავაჭრო ორგანიზაციები გამოიტანენ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის საჭირო საგნებს, როგორიცაა: საბავშვო ტანსაცმელი, კოსტიუმები, საცვლები, ტრიკოტაჟი, ფეხსაცმელები, კალოშები, ქუდები, რვეულები, ფანქრები, კალმები, მელანი, დაფები, ჩანთები, ალბომები და სხვ. სახელმძღვანელოებს გარდა, ბაზრობაზე სულ გამოტანილ უნდა იქნეს 4,5 მილ. მანეთის საქონელი.

გარდა ამისა, საქართველოს სახკომსაბჭოს სპეციალური დადგენილების თანახმად, ადგილობრივმა მრეწველობამ, სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციამ და აგრეთვე საქართველოს ღარიბკომმა სექტემბრის შუა რიცხვამდე სავაჭრო ორგანიზაციებს გეგმის გარეშე უნდა ჩააბაროს დაახლოებით ნახევარი მილიონი მანეთის საქონელი. აღნიშნული საქონელი სავაჭრო ორგანიზაციებს უნდა გადაეცეთ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის განრიგის მიხედვით.

ამ დავალების წარმატებით შესრულება მოითხოვს მწარმოებელ ორგანიზაციათა ყურადღებას გამახვილებას დამატებითი საბავშვო ასორტიმენტის პროდუქციის გამომუშავების საქმისადმი. თვითეულმა ორგანიზაციამ რაციონალურად უნდა გამოიყენოს თავისი შესაძლებლობა ამ საკონტროლო დავალების შესასრულებლად. გეგმით განსაზღვრული დამატებითი პროდუქციის გამომუშავება მათ უნდა უზრუნველჰყონ ამა თვის პირველ დეკადაში. კურსი აღებულ უნდა იქნას არა მარტო გამომუშავების რაოდენობაზე, არამედ ხარისხზეც. ეს განსაკუთრებით ეხება საბავშვო ტანსაცმელებს და დამხმარე სასწავლო საგნებს

ჩვენ ახლა მოგვეპოვება ყველა შესაძლებლობა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობას შევუქმნათ სწავლის და კულტურული ცხოვრების ისეთი პირობები, როგორსაც მოითხოვენ სოციალიზმის გზაზე საბოლოოდ და სამუდამოდ დამდგარი ქვეყნის მოსწავლე ახალგაზრდობა და მისი ამოცანები. პარტიისა და ხელისუფლების ღონისძიება დამატებითი სახელმძღვანელოების ბეჭდვისა და სასკოლო ბაზრობის მოწყობის შესახებ ამ ამოცანის გადაჭრას ემსახურება. მოსწავლე ახალგაზრდობა უნდა გავხადოთ სამომხმარებლო/ მომსახურების საპატიო ობიექტად, საბჭოთა ბაზრის საპატიო მომხმარებლად. საჭირო ტექნიკური და მატერიალური პირობების შექმნა სწავლის მაღალი ხარისხისა — ასეთია ჩვენი ერთერთი უახლოესი ამოცანა საქონელბრუნვის ფრონტზე.

სასკოლო ბაზრობა ასეთი ვრცელი პროგრამით ჩვენში პირველად ეწყობა, ამიტომ ბაზრობის ჩამტარებელ მოვაჭრე ორგანიზაციებს ვმართებთ უდიდესი მზრუნველობის გამოჩენა ამ საქმისადმი. ყოველი მათგანი ვალდებულია წინასწარ გაეცნოს რაიონის სამომხმარებლო თავისებურებას საბავშვო ასორტიმენტის მხრივ და ამის შესაბამად აწარმოოს განრიგით კუთვნილ საქონლის დაგზავნა რაიონებში.

საქართველოს შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილია საქონელბრუნვის მთლიანი გეგმა სასკოლო ბაზრობისათვის, რომელიც იყოფა ცალკე რაიონებისა და სავაჭრო ორგანიზაციების მიხედვით. მაგრამ გეგმიანი ლიმიტების შემდეგი დაზუსტება ასორტიმენტის მხრივ ეხება სავაჭრო ორგანიზაციების საქმეს.

მრეწველობის ბაზები ვალდებული არიან 5 სექტემბრამდე დაამთავრონ საბავშვო ასორტიმენტის საქონლის ჩაბარება მოვაჭრე ორგანიზაციებისათვის. მოვაჭრე ორგანიზაციები თავის მხრივ ვალდებული არიან მრეწველობის ბაზისაგან მიიღონ საბავშვო ასორტიმენტის არა ის საქონელი, რომელსაც მას მექანიკურად მიაწოდებენ, არამედ ისეთი, რომელსაც მისი მომსახურების რაიონი მოითხოვს. სერიოზული გაუგებრობის ყველა შემთხვევა უნდა ეცნობოს საქართველოს შინავაჭრობის სახ. კომისარიატს. ეს შეეხება ადგილობრივი მრეწველობის ხაზით დამატებით გამოსამუშავებელ პროდუქციის ჩაბარებასაც, რაც ამა თვის პირველ დეკადაში უნდა დამთავრდეს (3—8 სექტემბერი).

სავაჭრო ორგანიზაციები რომ უზრუნველყოფილ იქნან სასურსათო და სამრეწველო საქონლის სრული ასორტიმენტით, მრეწველობის ბაზებს მიეცათ სპეციალური დავალება — გადასცენ სავაჭრო ორგანიზაციებს ამა წლის 10 სექტემბრამდე საბავშვო და სამოსწავლო საქონლის ასორტიმენტის მთელი ის რაოდენობა, რომელიც მათ მოეპოვებათ საწყობებში. ამავე მიზნით, სავაჭრო ორგანიზაციებმაც თავიანთი საწყობებიდან უნდა გადაისროლონ სავაჭრო წერტში აღნიშნული სახის მთელი საქონელი.

ბაზრობის ჩატარებაში მონაწილეობას მიიღებენ თითქმის ყველა ძირითადი სავაჭრო ორგანიზაციები, როგორიცაა: სახელგამი, „ტექნიკა და შრომა", საქვაჭრობა, ტფილისის სამომხმარებლო კოოპერაცია, ცეკავშირი, საქკვებვაჭრობა, „სოიუზობუვსბიტი", „სოიუზრეზინოსბიტი", საქართველოს სამკერვალო სამმართველო, სარეწაო საბჭო და სხვები. დასახელებულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოჰყონ სპეციალური მაღაზიები და სავაჭრო წერტილები, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ ბაზრობაში. გარდა ამისა ძირითადმა სავაჭრო ორგანიზაციებმა (მაგალითად, საქკვებვაჭრობამ, საქხორცვასაღებამ და სხვ.) უნდა მოაწყონ სპეციალური ავტომაღაზიები ტექნიკუმებსა და ათწლედებში — დასვენების დროს მოსწავლე ახალგაზრდობისათვის საუზმისა და სხვა საჭირო ნივთების და პროდუქტების მისაწოდებლად.

ბაზრობაში მონაწილე მაღაზიები და სავაჭრო წერტილები ბაზრობის დღეებში სპეციალურად იქნებიან მხატვრულად გაფორმებული.

სასკოლო ბაზრობისათვის დაწესებული საქონელბრუნვის გეგმა საქართველოს შინავაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ დამტკიცებულია შემდეგი რაოდენობით: ტფილისში რეალიზაცია უნდა იყოს 3 მილ. მანეთის საბავშვო ასორტიმენტის საქონელს, სოხუმში, ქუთაისში და ბათომში სამას-სამასი ათასი მან. საქონელს, ხოლო დანარჩენ რაიონებში (ფოთი, თელავი, ხაშური, მახარაძე, ჭიათურა და სამტრედია) ას-ასი ათასი მანეთის საქონელს. სასკოლო ბაზრობის პერიოდში რეალიზაცია უნდა იყოს სულ 4,5 მილ. მანეთის საქონელს.

ბაზრობის უკეთ ჩატარების მიზნით სავაჭრო ორგანიზაციებმა ბაზრობაზე ხელმძღვანელობად უნდა მიავლინონ რაიონებში სპეციალური რწმუნებულები.

სავაჭრო ორგანიზაციებმა ამთავითვე უნდა გაითვალისწინონ ბაზრობის ჩატარების უაღრესად დიდი მნიშვნელობა სასწავლო წლის მომზადების საქმეში და ფართო მოხმარების საქონლის ყველა რესურსების მობილიზაციით უზრუნველჰყონ იმ ამოცანათა უმტკივნეულოდ გადაჭრა, რომლებიც მათ სასკოლო ბაზრობის ჩატარებასთან დაკავშირებით ეკისრებათ.

ამხ. ბერიას მოხსენებისადმი მიძღვნილი გამოფენა

ბაქო, 2 სექტემბერი. აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის შაუმიანის სახელობის აზერბეიჯანის ინსტიტუტის რევოლუციის მუზეუმმა მოაწყო დიდი გამოფენა, მიძღვნილი ამხ. ბერიას მიერ ტფილისის პარტაქტივის კრებაზე გაკეთებული მოხსენებისადმი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საკითხისათვის".

გამოფენა სერიოზულ დახმარებას უწევს პარტიულ აქტივს. რომელიც ამ მოხსენებას სწავლობს. მრავალრიცხოვანი ფარები თანამიმდევრობით გვაცნობენ ამიერკავკასიაში ბოლშევიზმის ჩასახვის და განვითარების ისტორიას, ამხანაგ სტალინის, როგორც ბოლშევიკური ორგანიზაციების შემქმნელის, უდიდეს თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობას. გამოფენა გვიჩვენებს „მესამე დასის" შიგნით უმცირესობის ჩამოყალიბებას: **წულუკიძე, კეცხოველი, სტალინი.**

უაღრესად საინტერესოა ჟანდარმთა სამმართველოს მიერ 1902 წელს შედგენილი სქემა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რომელ პუნქტებში სწარმოებდა რევოლუციური მუშაობა.

ნაჩვენებია ამხანაგ სტალინის მოღვაწეობა ტფილისსა, ბაქოსა და ბათომში, მენშევიკებთან დისკუსიები, რევოლუციური აღტყინება, გაფიცვები ამიერ-კავკასიაში, რეაქციის წლები, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა დაუნდობელი ბრძოლა ლიკვიდატორობასთან, მენშევიკთა მხილება.

რამდენიმე ფარი გამოხატავს ამხანაგ სტალინის როლს ლენინიზმის პრინციპების პროპაგანდაში, ნაციონალისტურ გადახრებთან ბრძოლაში, აგრეთვე ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნაში.

ცალკე ფარი მიძღვნილი აქვს ამიერკავკასიაში ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიის ერთერთი გამოჩენილი ორგანიზატორის—ლადო კეცხოველის მუშაობას (ადს).

ვ. გოგეშვილი

რუსთაველის თეატრი გარდაქმნას აგვიანებს

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო შეექმნა ყველა შესაძლებლობა და პირობა დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ნაციონალურ კულტურათა აღმავლობისა და [illegible] აყვავებისათვის.

ლენინურ - სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო ნაციონალური კულტურის განვითარების ისეთი წარმატებანი, რომლებიც შეუძლებელი და წარმოუდგენელია ბურჟუაზიული წესწყობილების პირობებში.

ვინ არ იცის, რომ საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ქართული კულტურა სრულ რღვევამდე მიიყვანა და მშრომელთა მასების კულტურული აღმავლობის ყველა შესაძლებლობა მოსპო. მენშევიკების დროს სკოლა, უნივერსიტეტი, თეატრი, ლიტერატურა და კულტურის ყველა დარგი, კვლავ ქართველი თავად-აზნაურებისა და ბურჟუაზიის მონოპოლიას შეადგენდა და გამოუვალ ჩიხში იყო მომწყვდეული.

პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამ უზრუნველჰყო ნაციონალურ - კულტურული მშენებლობის ნამდვილი აყვავება.

ლენინ - სტალინის ნაციონალური პოლიტიკის დროშის ქვეშ საქართველოს მუშების, კოლმეურნეებისა და მშრომელების ფართო მასები, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, აშენებენ ფორმით ნაციონალურს და შინაარსით სოციალისტურ კულტურას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დღიდან შეიქმნა მრავალი ათეული და ასეული უმაღლესი და საშუალო სკოლა, სამეცნიერო დაწესებულებანი, კინოები, გამომცემლობანი და სხვა.

საქართველოს მუშებმა, კოლმეურნეებმა, და საბჭოთა ინტელიგენციამ კულტურული რევოლუციის ფრონტზე განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწიეს უკანასკნელი 3—4 წლის განმავლობაში.

დღითი - დღე მტკიცდება კულტურულ დაწესებულებათა და, მათ შორის, საბჭოთა თეატრების მატერიალური ბაზა. კულტურული, მათ შორის, თეატრალური ფრონტის მუშაკებს განსაკუთრებულ მზრუნველობას და დახმარებას უწევდა და უწევს საქართველოს პარტორგანიზაცია და მისი ცენტრალური კომიტეტი.

ქართული საბჭოთა თეატრი და, პირველ ყოვლისა, რუსთაველის სახელობის თეატრი უკანასკნელი წლების მანძილზე გამოვიდა ერთერთ მოწინავე ადგილზე, მოგვცა რა ისეთი დიდი მხატვრული დადგმანი, როგორიც არის „რღვევა", „ანზორი". და „ყაჩაღები".

1933 წელს საბჭოთა მთავრობამ და საქართველოს მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ აღნიშნეს რუსთაველის სახელობის თეატრის არსებობის ათი წლის იუბილეი.

ეს იყო თვალსაჩინო დემონსტრაცია იმ დიდი სიყვარულის, ზრუნვისა და ყურადღების, რომლითაც გარშემორტყმულია საბჭოთა თეატრი. ამ იუბილემ ჯამი გაუკეთა თეატრის მიღწევებს და ასახა მის წინაშე შემდგომი შემოქმედებითი ზრდის ახალი ამოცანები. რუსთაველის სახელობის თეატრის ხელმძღვანელობას და მის ყველა მუშაკს საბჭოთა ხელოვნების ახალი ამოცანების წინაშე ევალებოდათ კრიტიკულად გადაევლოთ თვალი მთელი განვლილი შემოქმედებითი გზისათვის, ყოველივე საუკეთესო, რაც კი მოპოვებული იყო 10 წლის განმავლობაში, მათ საფუძვლად უნდა დაედოთ თეატრის შემდგომი შემოქმედებითი აღმავლობისათვის, საბოლოოდ უნდა დაეძლიათ და უკუეგდოთ ის შეცდომები და მერყეობანი, რომელთაც თეატრი ხშირად იდეოლოგიურ და მხატვრულ გარღვევებამდე მიჰყავდათ.

ცნობილია, რომ წარსულში თეატრს, თავის რეპერტუარში ჰქონდა ისეთი დადგმანი, როგორიც იყო „ლამარა" და „თეთნულდი", რომელნიც გამოხატავდნენ თეატრის ქანაობას ნაციონალიზმისაკენ.

„ლამარას" დადგმაში თეატრი დაადგა სპეციფიკური, ეგრეთ წოდებული „მოძრაობათა ქართული რიტმის" ძიების გზას, ხელოვნების ნაციონალური ფორმის სოციალური შინაარსი მან დაიყვანა ქალაქისა და სოფლის დაპირისპირებამდე, მოგვცა მთიულთა ყოფაცხოვრების ეგზოტიკური ათვისება და პატრიარქალური ყოფაცხოვრების რომანტიკული იდეალიზაცია.

„თეთნულდის" დადგმით თეატრი კიდევ უფრო შორს წავიდა ძველი პატრიარქალური ყოფაცხოვრების, ძველი ტრადიციებისა და ადათების იდეალიზაციის. გზაზე, სრულიად აუარა გვერდი იმ ბრძოლის ძალასა და მნიშვნელობას, რომელსაც მშრომელი სვანები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ეწევიან.

თავის დროზე „პრავდაში" თეატრს მიეთითა პიესების „ლამარას" და „თეთნულდის" დადგმათა ნაციონალისტური ხასიათი.

აი რას სწერდა „პრავდაში" ამხ. ლიტოვსკი:

„ლამარას" სოციალურ გაქლერებას ზოგჯერ გაჰკრავს ხაზგასმული ნაციონალური ფოლკლორის ყალბი ჰანგები. უაღრესად რომანტიკული ლეგენდა ორი ძმის სიყვარულზე ლამარასადმი, მიუხედავად ყველა ცდისა, რომ ეს ისტორია გადაეტანათ ორი ტომის ბრძოლისა და შერიგების სოციალურ, რელსებზე, მაინც უბრალო რომანტიკულ ისტორიად რჩება.

ძველი ქებული საქართველო მაყურებელს წარმოუდგება თავისი ეთნოგრაფიული და საყოფაცხოვრებო დეტალების მთელი ფერადოვნებით" („პრავდა", 27 ივლისი 1930 წელი).

„თეთნულდის" შეფასების დროს ამხ. ლიტოვსკი აღნიშნავდა:

„რაც შეეხება პიესას „თეთნულდს", ეს უსათუოდ თეატრის სარეპერტუარო მარცხია. სოციალისტური მშენებლობის თემა „მიკერებულია" სვანეთის რომანტიკაზე თეთრი ძაფით, — ამიტომ პიესის მთელი „თანადროულობა" აშკარა შეგუებითი ხასიათისაა".

თავის საუკეთესო დადგმებით „ანზორით" და „ყაჩაღებით" თეატრმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და პროლეტარული საზოგადოებრიობის დახმარებით შესძლო ძირითადად დაეძლია ნაციონალიზმის ნაშთები. თეატრი შეეცადა დაშორებოდა საბჭოთა ხელოვნების ფორმების ნაციონალისტურ გაგებას.

ახალი ამოცანები, რომლებიც დაისახა საბჭოთა ხელოვნების წინაშე, კერძოდ, რუსთაველის სახელობის თეატრის წინაშე, ავალებდა თეატრს გაბედულად და გადაჭრით დამდგარიყო იმ პროცესების ღრმად და ყოველმხრივ ჩვენების გზაზე, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული სოციალისტურ მშენებლობასთან და სოციალისტური ეპოქის ადამიანის ჩამოყალიბებასთან.

მაგრამ რუსთაველის სახელობის თეატრმა ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში დაიწყო ჩამორჩენა საბჭოთა ხელოვნების ახალი ამოცანებისაგან.

ამ მდგომარეობას ყურადღება მიაქცია საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც 1935 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ თეატრმა უკანასკნელ დროს შეასუსტა მხატვრულ - შემოქმედებითი მუშაობა, და თეატრის ჩამორჩენის მიზეზები, გამოააშკარავა.

ც.კ-ის გადაწყვეტილებაში ნათქვამია:

„თეატრის მუშაობის ეს შესუსტება, ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში იმის შედეგია, რომ რეჟისორთა კოლეგია საკმაოდ არ მუშაობდა, თეატრის ცალკეულ მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივა სუსტად იყო გამოყენებული, თეატრის საზოგადოებრიობას ანგარიშს არ ეწეოდა და საკითხები დირექციის ადმინისტრაციული განკარგულებებით სწყდებოდა.

რუსთაველის თეატრის გარშემო ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის ორგანიზებული საბჭოთა მაყურებლის, მწერლების, დრამატურგების, მხატვრების საზოგადოებრიობა".

რუსთაველის სახელობის თეატრის ასეთი მდგომარეობა უეჭველად იმის შედეგია, რომ თეატრის ხელმძღვანელობაში ადგილი აქვს გადაჭარბებული ადმინისტრირების ელემენტებს და თეატრის მუშაკთა კოლექტივში სუსტად არის გაშლილი თვით კრიტიკა.

ამ ნაკლთა შედეგად თეატრი ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში არ წაწეულა წინ, — ახალი ამოცანებისა და სოციალისტური რეალიზმის მეთოდის დაუფლებისაკენ. თეატრმა გასულ წელს ორი დადგმა განახორციელა. პირველი იყო თეატრის პრემიერა — კორნეიჩუკის პიესა „მესაათე და ქათამი", — პიესა, რომელიც დაჯილდოებულ იქნა დრამატურგთა საკავშირო კონკურსზე. რუსთაველის თეატრმა შესცვალა პიესის სათაური და მას „მაისტერი" უწოდა. ეს შემთხვევით არ მომხდარა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობამ ვერ გაიგო პიესის ძირითადი თემატიკური მიზანდასახულობა — დროის კლასობრივი ათვისების ჩვენება, თავისთავად ოპტიმისტური პიესა სპექტაკლში სათანადოდ ვერ გაიშალა. ამის გამო პიესის ჯანსაღი იდეა დამახინჯდა და მისი მხატვრული ღირებულება შემცირდა.

თეატრის მეორე დადგმა იყო მთვარაძის პიესა „შლეგი".

პიესაში, რომელიც ეხება მეცხოველეობის თემას, იმდენად უსწოროდ არის ასახული საკოლმეურნეო სოფლის ნამდვილი ურთიერთობანი, რომ დამახინჯებულია კოლექტივიზაციის იდეა. პიესას დიდი იდეოლოგიური ნაკლოვანებანი ახასიათებს, ხოლო სპექტაკლში ეს ნაკლოვანებანი კიდევ უფრო გაღრმავებულია. ფორმალური მხრივ სპექტაკლი „შლეგი" დაბრუნებაა „ლამარას" ტრადიციებისაკენ. იმის მაგივრად, რომ ყურად ეღო საბჭოთა საზოგადოებრიობის ხმა და შეესწორებინა სპექტაკლ „შლეგის" დიდი შეცდომები, — თეატრის ხელმძღვანელობამ იგი კინაღამ თავის გენერალურ ხაზად გამოაცხადა. ეს ამტკიცებს, რომ თეატრის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ ვერ დასძლია თავისი ნაციონალისტური შეცდომები, ვერ შესძლო განევრცო და გაეღრმავებინა თავისი საუკეთესო ნაშრომების — „რღვევის", „ანზორი"-ს, „ყაჩაღების" მიღწევები.

საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 3 აგვისტოს გადაწყვეტილებაში დასახა თეატრის მუშაობის გარდაქმნის ამოცანები.

ცენტრალურმა კომიტეტმა თეატრის ხელმძღვანელობასა და მთელ კოლექტივს შემდეგი უმნიშვნელოვანესი ამოცანები დაუსახა: გამოეცოცხლებინათ და განემტკიცებინათ რეჟისორთა კოლეგია, თეატრში შემოეღოთ ისეთი წესი, რომ შემოქმედებითი მხატვრული საკითხების განხილვა და გარჩევა ხდებოდეს რეჟისორთა კოლეგიაში; უფრო ფართოდ გაეშალათ ცალკეულ რეჟისორთა და თეატრის ყველა მუშაკის შემოქმედებითი ინიციატივა, გაეძლიერებინათ თეატრის კავშირი მწერლებთან, დრამატურგებთან, მხატვრებთან, კომპოზიტორებთან, პრესის მუშაკებთან და კულტურული ფრონტის სხვა მუშაკებთან, რისთვისაც ისინი უნდა ჩაებათ შემოქმედებითი საკითხების განხილვაში; ყოველნაირად გაეუმჯობესებინათ პარტიულ - მასობრივი და პროფესიული მუშაობა; მიეღწიათ შემდგომი გაუმჯობესებისათვის აქტიორთა ახალი კადრების მომზადების საქმეში, თეატრის სტუდიაში სწავლების გულდასმით მოფიქრებული და დამუშავებული პროგრამებისა და მეთოდების საფუძველზე; უფრო ფართოდ განევითარებინათ თვითკრიტიკა და განემტკიცებინათ საბჭოთა დისციპლინა თეატრის კოლექტივში.

ც. კ-ის გადაწყვეტილებამ მოგვცა თეატრის შემდგომი მუშაობის გაშლილი პროგრამა, გვიჩვენა თეატრის მუშაობის შეცდომათა გამოსწორებისა და ნაკლთა დაძლევის გზები.

რუსთაველის თეატრს, რომელსაც თავის კოლექტივში ჰყავს ხელოვნების გამოჩენილ მუშაკთა საკმაო რიცხვი, თეატრს, რომელმაც გვიჩვენა დიდ, მაღალხარისხოვან დადგმათა ნიმუშები, ყველა შესაძლებლობა მოეპოვება, რომ სწრაფად დასძლიოს თავისი მხატვრულ-შემოქმედებითი მუშაობის ჩამორჩენა მუშაობის გარდაქმნის საფუძველზე და ახალი ამოცანების შესაბამისად.

საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ უკვე ერთი თვე გავიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ თეატრი დღევანდლამდე უხეიროდ ემზადება ახალი სეზონისათვის. თეატრს კიდევ არ წარუდგენია, ხოლო საქართველოს განსახკომს ჯერ კიდევ არ დაუმტკიცებია არც რეჟისორთა კოლეგიის შემადგენლობა, არც ახალი თეატრალური სეზონის სარეპერტუარო გეგმა.

დღევანდლამდე დასახული და განხილული არ არის ახალი პიესები. მომავალი სეზონისათვის ახალ დადგმებზე მუშაობა არ არის გაშლილი. ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის მომავალ სეზონს.

თეატრმა **უმოკლეს ვადაში უნდა გაატაროს ყველა აუცილებელი ღონისძიება, სეზონისათვის მოსამზადებლად.**

ჩვენ თეატრის კოლექტივისა და მისი ხელმძღვანელობისაგან უახლოეს დღეებშივე მოველით გადამწყვეტ გარდატეხას შემოქმედებითს მუშაობაში.

თეატრს შეუძლია და იგი ვალდებულია სავსებით აღჭურვილი შეხვდეს ახალ თეატრალურ წელი-

აჭარის შაქრის ქარხანა ამუშავების წინ

შაქრის ჭარხლის კულტურამ საპატიო ადგილი მოიპოვა ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობაში. წინა წლებისაგან განსხვავებით, წელს შაქრის ჭარხლის დამუშავებას განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული და მიუხედავად თესვის დროის არახელსაყრელი ამინდისა, არის ყველა პირობა ჭარხლის მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სულ ამიერ-კავკასიაში შაქრის ჭარხალს უჭირავს 5773 ჰექტარი, აქედან საქართველოზე მოდის 5051 ჰექტარი. მოსავლიანობა საქართველოში გათვალისწინებულია 106,5 ცენტნერის რაოდენობით ჰექტარზე.

წელს ამიერ-კავკასიაში სულ მოღებული იქნება 627.907 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. აქედან გამომდინარეობს ის დიდი ამოცანებიც, რომელიც დგას ამხ. ბერიას სახელობის აჭარის შაქრის ქარხნის წინაშე.

ქარხანა ისე უნდა მოეწყოს, რომ ჭარხლის გადამუშავების მთელს პერიოდში შეუფერხებლად იმუშაოს. არ დაუშვათ არცერთი ძირი ჭარხლის გაფუჭება. „ზარალით მუშაობა — დანაშაულია. უზარალოდ მუშაობა — არ კმარა; მოგებით მუშაობა — აი ასეთია ამოცანა“.

ასე დააყენა წელს საკითხი კვების წარმოების წინაშე კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა. აშკარაა, რომ ჩვენ წინა წლებში ზარალით ვმუშაობდით ქარხნის ცუდი რემონტის მიზეზით.

მოსკოვის შაქრის ტრესტის მიერ აჭარის ქარხნის ამუშავების ვადათ დაწესებულია 25 სექტემბერი.

შაქრის მრეწველობის სპეციფიურობა მოითხოვს, რომ ქარხნის ამუშავების მომენტისათვის საქარხნო ტერიტორიაზე იყოს საჭირო სათბობის 60 პროცენტი. აჭარის ქარხანას წლიურად ესაჭიროება 12.450 ტონა ნახშირი ნახშირის მიწოდება ტყიბულის მაღაროებიდან ვერ არის როგორაოდ მოწესრიგებული. ტყიბულმა წლიურად ქარხანას უნდა მიაწოდოს 9600 ტონა ნახშირი. ტყიბულის მაღაროების ხელმძღვანელობამ ვადაზე უნდა უზრუნველყოს ქარხანა სათბობის საჭირო რაოდენობით, მით უმეტეს, რომ შარშან ნახშირის უქონლობის გამო ქარხანა გაცდა 16 დღემდე და ამან გამოიწვია ჭარხლის გაფუჭება.

აჭარის ქარხანას საქართველოს ჭარხლის 3 რაიონში — ხაშურში, კასპში და გორში აქვს 9 მიმღები პუნქტი. უნდა ითქვას, რომ გასულ წლებში მიმღები პუნქტები ვერ უზრუნველყოფდენ ჭარხლის დროზე მიღება - გადაზიდვას. წინა წლებისაგან განსხვავებით, წელს შემოღებულია მიმღები პუნქტების გამგეთა მუდმივი შტატი, შემოწმებულ მუშაკებისაგან. ყველა პუნქტი გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჭარხლის გადაზიდვას რკინიგზის მიმღები პუნქტებიდან. წინა წლებში რკინიგზა აფერხებდა ჭარხლის გადაზიდვას. ზოგიერთი პუნქტიდან ჭარხალს სრულებით არ ეზიდებოდნენ, სხვა პუნქტებიდან კი, სადაც არ იყო ჭარხლის გაფუჭების საშიშროება, მას სასწრაფო წესით ეზიდებოდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც კასპიდან ჭარხლიანი ვაგონები 4-5 დღე-ღამე მოდიოდენ. ამის შედეგად გზაში ადგილი ჰქონდა ჭარხლის დატაცებას და გაფუჭებას. რკინიგზამ ისე უნდა მოაწყოს მუშაობა, რომ თავიდან აცილებული იქნას შარშანდელი დეფექტები. განსაკუთრებით საჭიროა რკინიგზის მცველი რაზმის დახმარება ჭარხლის დატაცების თავიდან აცილების საქმეში.

საბინაო ფართობის სიმცირე ძლიერ აფერხებდა ჩვენს მუშაობას. სასწრაფოდ აგებული ბინები ვერ აკმაყოფილებენ ჰიგიენის ელემენტარულ პირობებს. არ არის კანალიზაცია და გათბობა. აქედან — კვალიფიციური მუშა ხელის ძლიერი დენადობა.

წელს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პირადათ ამხ. ლავრენტი ბერიას დახმარებით ჩვენ მივიღეთ საჭირო ასიგნობები სახლების ასაგებად, არსებული საბინაო ფართობის წესრიგში მოსაყვანად, კანალიზაციის და წყალსადენის გასაყვანად, მუშათა ბინების გასათბობად და სხვა.

ამჟამად სასწრაფოდ სწარმოებს ერთი დიდი სამსართულიანი სახლის მშენებლობა 90 ოთახით და სამი სახლის აგება მაღალი კვალიფიკაციის მუშებისათვის.

მშენებლობის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა იკისრა ყველა საამშენებლო ობიექტის დაწესებული ვადისათვის დამთავრება. უნდა ვიფიქროთ, რომ ქარხნის ამუშავების დროისათვის ჩვენ ამ ამოცანას გადავსწყვეტავთ. ამისათვის არის ყველა პირობა.

სამრეწველო მშენებლობის ხაზით მხოლოდ წელს მოგვეცა საშუალება დავამთავროთ შაქრის საწყობი. შარშან მშენებლობისადმი არასაკმაო ყურადღების გამო ჩვენ იძულებული ვიყავით შეგვეჩერებინა ყველა დამხმარე საწარმოს მშენებლობა, რის შედეგადაც შაქრის საწყობად ვიყენებდით კლუბს და სასადილოს. წელს ქარხნის ამუშავების დროისათვის ჩვენ გვექნება კარგად მოწყობილი შაქრის საწყობი.

აჭარის შაქრის ქარხნის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მთელი კოლექტივი ჩაება კვების საწარმოების სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში და იკისრა უზრუნველყოს მთელი შაქრის ჭარხლის გადამუშავება, არ დაუშვას არცერთი ძირი ჭარხლის გაფუჭება, გადაამუშაოს ყოველდღე 7.400 ცენტნერი ჭარხალი, მინიმუმამდე დაიყვანოს დანაკარგები და მისცეს ქვეყანას არანაკლებ 85 ათასი ცენტნერი შაქრისა და სეზონის განმავლობაში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქ კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პირადათ ამხანაგ ლ. ბერიას დახმარებით ჩვენ ამას შევასრულებთ.

ი. ოდიშვილი

აჭარის შაქრის ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ჯუღელის რაიონი მზად არის ახალი სასწავლო წლისათვის

შარშან სასწავლო წლის საუკეთესო მომზადებისათვის ჯუღელის რაიონმა რესპუბლიკის გარდამავალი დროშა მიიღო. რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა წელს უფრო ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას.

მონდომებული მუშაობის შედეგად მომავალ წელს რაიონი ხვდება შემდეგი მიღწევებით: 40 მასწავლებელი გადამზადებულია ერთთვიან კურსებზე, რესპუბლიკურ კურსებზე გაიგზავნა 17 მასწავლებელი. ყველა სკოლა უზრუნველყოფილია კვალიფიციური დირექტორებით და მასწავლებლებით. აღრიცხულია სასკოლო ასაკის ბავშვები, 15 ივნისისათვის დაკომპლექტებული იყო დაწყებითი სკოლების ყველა პირველი კლასი. დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში მთლიანად გატარებულია საყოველთაო სავალდებულო სწავლება. სასკოლო მშენებლობაში აქტიურად იყო ჩაბმული რაიონის მშრომელი მოსახლეობა. მათი შრომითი მონაწილეობა ფულზე გადატანით 300 ათას მანეთს აღემატება. ყველა სასკოლო შენობა და ინვენტარი შეკეთებულია და წესრიგშია მოყვანილი. ახლად შეძენილია ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების 9 კაბინეტი. მოეწყო გეოგრაფიისა და ისტორიის 20 კაბინეტი, 7 პოლიტექნიკური სახელოსნო. 16 სკოლასთან მოწყობილია დეკორატული ბაღი და სხვ.

ამგვარად, ჯუღელის რაიონის სკოლები მთლიანად მზად არიან ახალი სასწავლო წლისათვის.

ციტრუსები

ლაქაშებიდან გრეიფრუტამდე

მხოლოდ ორიოდე კილომეტრი აშორებს ქალაქ ფოთიდან გრეიფრუტის საბჭოთა მეურნეობას. ქალაქის ბოლოს იწყება იგი და ზღვამდე გადაშლილია ნარინჯების ეს თვალუწვდენელი ბაღნარი.

გასულ წელს საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. ბერია იყო აქ. გულმოდგინედ დაათვალიერა მთელი მეურნეობა, ციტრუსების თვითეული ბუჩქიც კი და შემდგომი წარმატების უზრუნველსაყოფად მთელი რიგი საბრძოლო დავალებები მისცა ფოთელ ამხანაგებს. ეს მითითებები ძირითადად განაღდებულია.

⁂

ნახევარ კილომეტრის სიახლოვიდან განიერ ქუჩაზე ასფალტი იწყება, რომელიც გრძელდება მეურნეობის ჭიშკრამდე. აქ ყველაფერი ლამაზად და კოხტადაა მოწყობილი. შედიხართ ეზოში და გული ხალისით ევსება. ერთიმეორეზე ჩამწკრივებულია გრეიფრუტის, მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის, ფეიხოის, ევკალიპტების და სხვათა ბუჩქები. მათ ირგვლივ ჯარისკაცებივით შემორტყმია ლამაზად მოწყობილი ქარსაცავები.

ერთბაშად ვერ ასწრებ ნახულის შთაბეჭდილების ათვისებას. ვრცელია მიწა და რამდენ თვალს გაახელ, იმდენი ახალი სანახაობა იშლება. არ იცი, რომელი ერთზე შეაჩერო თვალი, როცა ყველა ერთნაირი მიმზიდველობით გამოიყურება.

მეურნეობას კიდევ უფრო მშვენიერ და თვალწარმტაც ხედს დეკორატიული მცენარეები, რომლებიც თავის დროზე გეგმიანად და ბლომად დაურგავთ აქ.

როცა მეურნეობის ეზოში შევედით, გრეიფრუტის პლანტაციაში ერთგან გულმოდგინედ მუშაობდა თეთრ, გაკრიალებულ ხალათებში გამოწყობილი — ქალთა ბრიგადა. მიუახლოვდით, ყველას ხელში სუფთა ტილოს ჩვრები ეჭირა და ბეჯითად, მზრუნველობით ასუფთავებდენ თვითეულ ბუჩქს. ცოტა მოშორებით თოხებით შესეოდენ აყვავებულ სოიას, რომელიც მწვანე სასუქად დაითესა პლანტაციებში, ახლა წარმოებს მისი მიწაში ჩათოხნა.

დიდხანს და გულმოდგინედ ვათვალიერებდით გრეიფრუტის ერთ ბუჩქს. ის სულ ორნახევარი წლისაა. წელს ბლომად გამოუსხამს ნაყოფი, რომელიც უკვე ამჟამადაა მანდარინის დასრულებულ ნაყოფის სიმსხო. მცენარეც იშვიათად გაზრდილა. ამასთან გაუშლია სივრცეში ახლად აყრილი ნორჩი ტოტები. ერთ-ერთ აგროტექნიკოსმა სიცილით შეგვნიშნა: „ტყუილად აკვირდებით, სამი დღის შემდეგ მაინც ვერ იცნობთ“ო. მართალია დღეს, რომ არის ის ხვალ აღარაა. ისე სწრაფად იზრდებიან გრეიფრუტები, რომ თვით მეურნეობის მუშაკებსაც აკვირებს.

⁂

1933 წელს გაშენდა მეურნეობა. წინედ წყალი იდგა აქ, მიწამ არ შესვა იგი. ზაფხულში მზე აჭერდა და ცხელი ოხშივარი ადიოდა დამპალ ზედაპირიდან. ხარობდა მხოლოდ ლაქაში. ეს მიდამოები ქვეწარმავალთა და კოღოებისათვის წარმოადგენდა — მყუდრო თავშესაფარს. ასე იყო უხსოვარ დროიდან.

დღეს აქ ნაჭაობარზე ამერიკელი „სტუმრები“ ხარობენ. 13,5 ჰექტარზე გაშლილია 2880 ძირი გრეიფრუტი, ლიმონ-მანდარინი — 2850 ძირი იაპონიური ხურმა — 450, ფეიხოა — 200, პეკანი — 160 ძირი, ევკალიპტი 10.000 ძირი და სხვა.

ყველა მიმდინარე სამუშაოები ვადამდე და წარმატებითაა შესრულებული. დროზე ჩატარდა პირველი და მეორე გათოხნა, ამჟამად მესამე და საჭიროების მიხედვით მეოთხე გათოხნაც იწარმოებს. სასუქის შეტანის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული.

გამარჯვებები თავისთავად როდი მოვიდა. უნდა დავასახელოთ ცოცხალი ადამიანები, რომლებმაც უშუალოდ შექმნეს ეს გამარჯვებები. აი ისინიც. შ. მჟავია. (დირექტორი), მეურნეობის დაარსებიდანვე მუშაობს აქ.

პეტრე კორძაია უფროსი აგრონომი, საუკეთესო სპეციალისტი. ნიკოლაიშვილი და ყაჭეიშვილი დამკვრელი აგრო-ტექნიკოსები, ბუჩიანიძე (მებაღე) და დამკვრელი მუშები. ან. ზებკოვა, დუბოვკოვა, ტოლსტოვი და სხვ. აი საუკეთესო მუშაკები, თავდადებული და ერთი საქმისათვის მებრძოლი კოლექტივი — ციტრუსების ენტუზიასტები.

⁂

ჩვენ საკმაო დრო მოვანდომეთ პლანტაციების დათვალიერებას და გაბრუნებას, რომ ვაპირებდით დირექტორმა შეგვაჩერა: — „ამ გაზაფხულზე ამერიკიდან ახალი „სტუმრები“ გვესტუმრა, ისინი სხვებზე უფრო სათუთი და მიზეზიანი გამოდგენ მოდი ვინახულოთ“ო — თქვა მან და სათბურებისაკენ გაგვიძღვა.

დირექტორის ორაზროვანი საუბარი ანანასს შეეხებოდა. ანანასი სრულიად ახალი მცენარეა, არა მარტო ფოთში, არამედ საბჭოთა კავშირშიც. მას განსაკუთრებით თბილი ჰაერი უყვარს. ახლა კი, როცა ღამის ზღვის ოდნავ გრილი ჰაერი ქრის, სათბურებში ფეჩებს ანთებენ.

ანანასის ნერგები (4500 ძირი) როცა აქ მოიტანეს, სპეციალისტების ოფიციალური დასკვნით 95 პროცენტით გაფუჭებული იყო, ამდენადვე დასარგავადაც თითქმის გამოუყენებელი. მეურნეობამ მაინც იკისრა მისი დარგვა. საუკეთესო მოვლას განსაკუთრებით უფროსი აგრონომი, კორძაიას მუყაითობას უნდა მიეწეროს, რომ ამჟამად ანანასი უკვე 100 პროცენტით გახარებულია. ზოგიერთებს ნაყოფიც გამოსხმული აქვს. ყველა მზრუნველობით თავს დასტრიალებს სათბურებს და მოუთმენლად ელიან ამ უცხო და ძვირფას მცენარის ნაყოფის დამწიფებას.

როგორც ზევით ვთქვით მეურნეობა ახალია. გრეიფრუტმა სრული მოსავალი, მხოლოდ 1938 წელს უნდა მოგვცეს. მიუხედავად იმისა აქ წელსაც მნიშვნელოვან მოსავალს მოელიან.

ეგ. გვასალია

სკოლების ძებნაში...

(ბაღდადი, საქ. კორესპონდენტისაგან)

ამის წინათ ბაღდადის რაიკომის მდივანი ამხ. ლ. ლომაძე და განათლების განყოფილების გამგე ე. ბახტაძე სკოლებს ამოწმებდნენ. ისინი გაჩერდნენ სოფ. ქვედა-დიდველაში. ერთერთი გლეხის სახლის წინ. ბახტაძემ თამამად და გაბედულად შეაღო ჭიშკარი. სახლის პატრონი განცვიფრდა, უცხო სტუმრებს არ მოელოდა.

— სკოლის დირექტორი სად არის? — ეკითხება ბახტაძე სახლის პატრონს. გლეხი დაიბნა. ბახტაძე არ ცხრებოდა. კიდევ შეეკითხა. თუ საიდან უნდა ასულიყვნენ სასკოლო ოთახებში.

— თქვენ მისამართი შეგეშალათ, 6 თვეა რაც, სკოლა აქედან გადაიტანეს. აი იქ არის მოთავსებული ახლა, და მიუთითა სკოლის ახალი შენობისაკენ.

როგორია სკოლის „ახალი შენობა“?

ბნელი, ნესტიანი ოთახი, რომელსაც იატაკი არ გააჩნია. ოთახში მოთავსებული სამი დამტვრეული პარტა. პარტებს სინესტისაგან ობი მოჰკიდებია. „ოთახის“ ერთ კუთხეში ფეხმოტეხილი მაგიდაა. მაგიდას ერთი ფეხი ძლივს შერჩენია, რომელიც სახლის პატრონს მაინც დიდ სამსახურს უწევს. მასზედ გრძელი თოკით მიბმულია კრუხი. აქ სხვა შინაურ ფრინველებსაც აბუდებენ.

ასეთია სოფ. ქვედადიდველას დაწყებითი სკოლა, რომლის ძებნამ დიდი დრო წაართვა ბახტაძეს.

5 სოფელს სასკოლო შენობა არ აქვს.

ქვედადიდველას დაწყებითი სკოლის შენობა ბაღდადის რაიონში გამონაკლისი როდია. ასეთივეა სხვა მრავალი სასკოლო შენობაც.

სოფ. საკრაულაში არასრული საშუალო სკოლა კერძო ბინებზეა მოთავსებული. მცხოვრებლებს დიდი სურვილი ჰქონდათ შეეძინათ სკოლისათვის შენობა. საამისოდ ორი ათას მანეთამდე თანხაც კი ჰქონდათ, მაგრამ განათლების განყოფილების უყურადღებობით საკრაულის სკოლა წელსაც კერძო ბინაზე დარჩა.

საკუთარი ბინები არა აქვს სოფ. ალისმერეთის დაწყებით სკოლას, ზუკრის დაწყებითსა და როკითის არასრულ საშუალო სკოლას.

რას ფიქრობენ განათლების განყოფილება და სასოფლო საბჭოები?

არც წითელ-ხევის არასრულ-საშუალო სკოლაშია დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. სკოლის დირექტორი კვირიკაშვილი შეეცადა თვალი აეხვია სკოლების შესამოწმებლად მოსულებისათვის:

— ყველაფერი რიგზეა, რაც შემეძლო ყველაფერი გავაკეთე, დავიქირავე ლურგლები, გავაკეთე პარტები და... კიდევ ერთ საათს ილაპარაკებდა კვირიკაშვილი, რომ მიმავრებულ ამხანაგს ჩარტრეზული მუშაობის დათვალიერება არ მოეთხოვა.

ფაქტიურად არაფერი არ აღმოჩნდა გაკეთებული. კვირიკაშვილს სასკოლო მშენებლობის გეგმაც არ შეუდგენია. ისიც არ იცის, თუ რა უნდა გაუკეთდეს წელს სკოლის შენობას. არც ერთი ოთახს ფანჯარები არ აქვს. არ არის საკმაო პარტები. აივანზე იატაკი ჩამტვრეულია. პარტები შეუკეთებელია.

ასევე მივიწყებულია სოფ. როხის არასრული საშუალო სკოლის შეკეთებაც. სკოლას აქვს სასწავლო წლისათვის მოსამზადებელი მუშაობის გეგმა. ამ გეგმაში არაფერია ნათქვამი ახალი ძალზე საჭირო ოთახების მიშენების შესახებ.

არც ვარციხის არასრულ საშუალო სკოლაშია 'სანუგეშო მდგომარეობა. სკოლის ლაბორატორიებში დასეირნობს ყველა, ვისაც კი მოეხასიათება. აქ ნახავთ ფრინველს, და სხვა პირუტყვს. აივანს არა აქვს მოაჯირი, დაზიანებულია იატაკი, ჭერი და სხვა.

ბაღდადი და ვანის რაიონები ერთმანეთს ეჯიბრებიან ახალი სასწავლო წლის უკეთ მომზადებაში.

ასეთი მუშაობით გამარჯვებს ბაღდადი ვანის რაიონთან სოციალისტურ შეჯიბრებაში?

ს. გამრეკელიძე.

დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი 1935 წ. სექტემბრის 1-

1935 წლის სასკოლო ბაზრობის ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჩატარებულ იქნას 1935 წლის სექტემბრის 10-დან 25-მდე სასკოლო ბაზრობა ქ. ტფილისში, სოხუმში, ბათომში, ქუთაისში, ფოთში, თელავში ხაშურში, მახარაძეში ჭიათურაში და სამტრედიაში.

დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი გეგმა 1935 წლის სასკოლო ბაზრობის ჩატარებისა აღნიშნულ ქალაქებში (იხ. დანართი).

2. დაევალოთ მრეწველობის ბაზებს საბავშვო ასორტიმენტის საქონლის ჩაბარება სავაჭრო ორგანიზაციებისათვის დაამთავრონ არა უგვიანეს მიმდინარე სექტემბრის 5-სა.

3. მიენდოს შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ქურულორია), ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან (ამხ. ყურულაშვილი), სარეწაო კავშირთან (ამხ. ბახტაძე), კოოპინკავშირთან (ამხ. გოქაძე) და ლარებკომთან (შაფთოშვილი) ერთად, განიხილოს და არა უგვიანეს მიმდინარე სექტემბრის 3-სა დაამტკიცოს საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გამოშვების დამატებითი გეგმა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის, სარეწაო საბჭოსათვის, კოოპინკავშირისა და ლარებკომისათვის.

დაევალოთ აღნიშნულ ორგანიზაციებს თავიანთი პროდუქცია ჩააბარონ საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის განრიგთა მიხედვით მიმდინარე სექტემბრის 3-დან 8-მდე (პროდუქციის გამოშვების მიხედვით).

4. ეთხოვოს ა.-კ.-ის რკინიგზათა დირექციას (ამხ. როზენცვეიგ) უზრუნველჰყოს რაიონში გასაგზავნი საქონლის პირველ რიგში დატვირთვა.

5. წინადადება მიეცეს სახელგამს, ცეკავშირს და საქვაჭრობას—არა უგვიანეს მიმდინარე სექტემბრის 5-სა მიავლინონ ადგილებზე თავიანთი პასუხისმგებელი წარმომადგენლები სასკოლო ბაზრობის ჩასატარებლად.

6. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებს მიიღონ თავიან პირად ზედამხედველობაში სასკოლო ბაზრობის ჩატარება და უზრუნველჰყონ ადგილობრივ სავაჭრო ორგანიზაციათა ფართო მონაწილეობა ამ ბაზრობის ჩატარებაში.

7. დაევალოს გაზ. „კომუნისტის“ და „ტფილისკი რაბოჩის“ რედაქციებს ფართოდ გააშუქონ საკითხი სასკოლო ბაზრობის მომზადების მსვლელობისა და ჩატარების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

გ. მგალობლიშვილი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანაშემწე

გ. ფალავა.

გეგმა სასკოლო ბაზრობის საქონელბრუნვისა

მილ. მან.

დანართი საქ. სახკომსაბჭოს 1935 წ. სექტმბრის 1-ლს დადგენილებისა № 1169

ქალაქების დასახელება	ცეკავშირი	საქვაჭრობა	საქკავშვაჭრ.	ტ. ს. ლ. ბ.	საქმრეწვაჭ.	ლინამში	სახელგამი	უნივერმაღი	გასტრონომ.	ბაკალეა	სხვ. ორგან.	სულ
1. ტფილისი	—	0,4	0,1	0,4	0,1	0,1	0,55	0,75	0,2	0,2	0,2	3,0
2. სოხუმი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	0,3
3. ბათომი	0,06	0,07	0,02	—	0,02	0,01	0,07	—	—	—	0,05	0,3
4. ქუთაისი	0,08	0,05	0,02	—	0,02	0,01	0,07	—	—	—	0,04	0,3
5. ფოთი	0,04	0,04	0,01	—	—	—	0,01	—	—	—	—	0.1
6. თელავი	0,03	0,02	0,01	—	0,02	—	0,02	—	—	—	0,01	0,1
7. ხაშური	0,03	0,02	0,01	—	0,01	—	0,02	—	—	—	0,01	0,1
8. ოზურგეთი	0,04	0,025	0,01	—	—	—	0,01	—	—	—	0,015	0,1
9. ჭიათურა	0,04	0,025	0,01	—	0,01	—	0,02	—	—	—	—	0,1
10. სამტრედია	0,04	0,02	0,01	—	—	—	0,03	—	—	—	—	0,1

შენიშვნა: ქ. სოხუმის ორგანიზაციათა საქონელბრუნვის გეგმის განაწილება ევალება აფხაზეთის ასსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს.

დანართი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. სექტემბრის 1-ის დადგენილებისა № 1169.

სასკოლო ბაზრობის საქონლის ასორტიმენტი

1. **სამკერვალო ნაწარმი:** საბავშვო პალტოები, კოსტიუმები, ტანსაცმელები, თეთრეული, ქუდები.
2. ტრიკოტაჟი.
3. ფეხსაცმელები
4. კალოშები.
5. რვეულები, ფანქრები, კალმები, მელანი, საგრიფელო დაფები, ჩანთები, აბგა, პორტფელები, ალბომები, სადებავები ხატვისათვის საბავშვო სათამაშოთა კომპლექტები, სახაზავი ნივთები.
6. სათამაშოები.
7. საკანდიტრო ნაწარმი.

სასწავლო წელს მოუმზადებლად ხვდებიან

(ცაგერის რაიონი)

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა. ახლა ყოველგვარი სამუშაო შესრულებული უნდა იყოს. მაგრამ ცაგერის რაიონში ასე როდია. განათლების განყოფილებას დაავიწყდა, რომ მიმდინარე წლის 15 აგვისტომდე უნდა დაემთავრებინა: ოყურეშის არასრული საშუალო სკოლის (რომელსაც 3 წელია აშენებენ), ზედა ლვირიშის და სურმუშის ოთხწლედების მშენებლობა, ნამდვილად კი ჯერჯერობით მხოლოდ კედლებია ამოყვანილი, ისიც ნახევრად. განათლების განყოფილების გამგეს ამხ. თავვაძეს ჯერაც არ დაუთვალიერებია მშენებლობა და ის ტექნიკოს ალ. ბენდუქიძის ამარა არის მიტოვებული. სასოფ. საბჭოს თავმჯდომარეები და კულტრწმუნებულები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ახალ სასწავლო წლისათვის მზადებას. მაგ. ლუხვანოს სასოფ. საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლ. გოლეთიანს და კულტრწმუნებულ ამხ. ვ. კოპალიანს ჯერაც არ დაუწყიათ სასკოლო ოთახების გადატიხვრა და სკამების, მაგიდების, დაფების შეკეთება. ასეთივე მდგომარეობაა ალვის სასოფ. საბჭოშიაც (საბჭოს თავმჯდომარე ალ. სვანიძე, კულტრწმუნებული გერონტი დევდარიანი).

გარდამავალი მშენებლობისათვის ჯერაც არავის მოუცლია, არ ზრუნავენ საჭირო მასალის მომარაგებაზე. სკოლის გამგეები უშუალოდ ჩაბმული არ არიან მიმდინარე შეკეთების საქმეში, რის შედეგად რაიონში საჭირო 469 ცალი დაფის ნაცვლად შეკეთებულია მხოლოდ 69 ცალი. ასეთსავე მდგომარეობაშია ახალი სასწავლო ინვენტარის გაკეთებისა და ძველის შეკეთების საქმე. სოფ. ჩხუტელის დაწყებითი სკოლის შენობას არ გააჩნია ბინა. არასრული და სრული საშუალო სკოლებისათვის რაიონს საკმაო რაოდენობით არა ჰყავს მაღალი კვალიფიკაციის კადრები. განყოფილებას არა აქვს ზუსტი ცნობები სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობაზე და ამიტომ მან ვერ მოახერხა განსახკომისათვის მიეწოდებინა საჭირო მასალები. სასკოლო მშენებლობის დროულად დამთავრებას ხელს უშლის აგრეთვე ისიც, რომ ფინსახკომა 73.000 მანეთიდან (გათვალისწინებული კრედიტი) რაიონს მხოლოდ 7.500 მანეთი გადმოურიცხა.

რ. მურცვალაძე.

ინჟ. ალ. კანდელაკი

კახეთის ფიქალი

ამიერ - კავკასიაში მშენებლობა განიცდის სახურავი მასალის დიდ ნაკლებობას, განსაკუთრებით მწვავეა ეს ნაკლებობა საქართველოში, ჯერ კიდევ საკავშირო სშკს-ის 1930 წლის დირექტივა მოითხოვდა, რათა მშენებლობაში, სადაც ეს შესაძლებელია, ლითონის ნაცვლად, კერძოდ სახურავი რკინის ნაცვლად, ხმარებული ყოფილიყო მინერალური წარმოშობის მასალები, უმთავრესად ისეთები, რომელნიც თავიანთი დამზადებისათვის არ მოითხოვენ არც სათბობს, არც ძვირ მოწყობილობას, განსაკუთრებით საზღვარგარეთულს.

უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში სახურავი ფიქალის, მისი თვისებებისა და ეკონომიკის შესახებ ბევრი დაწერილა საბჭოთა პრესაში. მათი განმეორება ზედმეტია.

ფიქალის წარმოების ორგანიზაციის საქმე მეტად გაგრძელდა მთელს კავშირში, აგრეთვე საქართველოშიც (1930 წლიდან) უმთავრესად არა-საკმაო დაფინანსების გამო.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია თვით საკავშირო სახკომსაბჭომ, რომელმაც ა. წ. 14 მაისის დადგენილებით კვლავ დაადასტურა ყოფილი საკავშირო სშკს-ის ზემოთ აღნიშნული დირექტივა არალითონის სახურავის მაქსიმალური დანერგვის შესახებ მშენებლობაში და, დაავალა ა.-კ. სახკომსაბჭოს კახეთის ფიქალის საბადოების დამუშავების ორგანიზაცია.

კახეთის საშენი ფიქალის ორი თანადი სახე—სახურავი (თხელშრეებიანი) და ფილაქვენი (სქელშრეებიანი). სახურავი ფიქალი ადვილად იყოფა თხელ ფირფიტებათ — 2 მილიმეტრამდე, იჭრება სათანადო მაკრატლით, იხვრიტება მახვილი საგნებით, აქვს წყალუჟონობა, სიმკრივე და ატმოსფერულ მოვლენებისადმი დიდი წინაღობა, მაშასადამე, სახურავზე დიდი გამძლეობა. ფილაქვენი ფიქალი იპობა მხოლოდ მსხვილ დაფებად და ფილებად — 10 მილიმეტრის ზევით. მას ახასიათებს ელექტრო-განხოლოების უუნარიანობა, იგივე წყალუჟონობა, სიმკრივე და ჟანგისადმი წინაღობა. ადვილად იხეხება და პრიალდება.

კახეთის საბადო, ინწობის ხეობაში, იძლევა ფიქალის ორივე სახეს. ამ საბადოს სახურავი ფიქალი „წარმოადგენს ყოველ მხრივ სრულებით დამაკმაყოფილებელ სახურავ მასალას, რომელიც შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული მშენებლობაში“. ინწობის ფილაქვენი ფიქალი „აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნილებებს და შეიძლება გამოყენებული იქნას დაბალი ძაბვის ელექტრო-განმანაწილებელ და დენმკვეთების დაფებისათვის, აგრეთვე მავთულის რეოსტატების ფუძეებისათვის“. ის ფილაქვენი ფიქალები, რომელნიც ელექტროგანხოლოების მიზნებისათვის გამოუსადეგარი არიან, იხმარება მრავალ სხვა ტექნიკურ, სამშენებლო და მხატვრული მიზნებისათვის, როგორიც არის—იატაკი, პლინტუსი, სწორი სახურავი (ბანი), ლაბორატორიების, ფოტოატელიების, ანატომიური დარბაზებისა და სხვათა მოწყობილობანი და სხვ.

ინწობის სახურავი ფიქალის ნედლეულის დამტკიცებული მარაგი შეადგენს: კატეგ. A, 4.173.600 ტონას, კატეგ. B—50.700.000 ტ. და კატეგორ. C—1,5 მილიარდ ტონაზე მეტს, ხოლო ფილაქვენი ფიქალის კატეგ. A_2—802.000 ტონას. პროექტის თანახმად, მხოლოდ კატეგორია A_2 უზრუნველყოფს ინწობის წარმოებას სახურავი ფიქალით 50 წლის განმავლობაში წლიური გამომუშავებით 600.000 კვ. მეტრი ანუ 12.500 ტონა (ნორმალური სტანდარტით), ხოლო ფილაქვენი ფიქალით 40 წლის განმავლობაში წლიური გამომუშავებით 103.000 კვ. მ. ანუ 10.500 ტ. პროდუქციას.

პროექტით, სახურავი ფიქალის თვითღირებულება, კომპლექსური წარმოების სრული სიმძლავრით მუშაობის დროს, შეადგენს: 1 კვ. მეტრი ორმაგი სახურავისა 1 მან. 96 კაპ. ანუ 1 ტონა—70 მ. 40 კაპ., ხოლო ერთმაგი სახურავისა —1 მან. 73 კაპ., ანუ 1 ტონა—იგივე 70 მ. 40 კაპ.

სრული (ე. ი. ნივნივების, სხვა მასალებისა და მუშახელის ჩათვლით) თავდაპირველი ღირებულება (შენობის აგების დროს) 1 კვ. მ. სხვადასხვა ტიპების ერთმაგი სახურავების ჰორიზონტალური პროექციისა ქ. ტფილისში შეადგენს: ინწობის სახურავი ფიქალის —8 მ. 79 კაპ., ასბოშიფერის „ეტერნიტის“ — 8 მ. 48 კაპ., სახურავი რკინის—10 მ. 01 კაპ., ჭანის კრამიტის—11 მ. 80 კაპ., ხოლო საბოლოო სრული ღირებულება (სახურავების შეკეთებისა და სრული გამოცვლის შემდეგ) შეადგენს: ინწ. სახ. ფიქალის—იგივე 8 მ. 79 კ., რადგან ის შეკეთებას არ მოითხოვს; სახურავი რკინის 26 მ. 03 კაპ., ჭანის კრამიტის—15 მ. 34 კაპ., რაც შეეხება ეტერნიტს, მისი სრული საბოლოო ღირებულების გამოანგარიშება შეუძლებელია, ვინაიდან ის შემოღებულია მხოლოდ 15-ოდე წლის წინათ და მისი გამძლეობა ჯერ არ არის გამორკვეული.

სახურავი ფიქალის განხოლოებული წარმოების პროექტი ითვალისწინებდა 600.000 კვ. მეტრ სახურავს, 1.624.000 მან. თვითღირებულებით. კომპლექსური წარმოება კი იძლევა სახურავ ფიქალის იმავე რაოდენობას 1.176.000 მანეთად და გარდა ამისა დამატებით — 916.000 მანეთის ღირებულების ფილაქვენ ფიქალის პროდუქციას, ესე იგი კომბინატის პროდუქციის გადიდება თითქმის 80% ამაში გამოიხატება ეფექტიანობა კაპიტალურ დაბანდებისა კახეთის ფიქალების კომპლექსურ წარმოებაში, შედარებით მარტო სახურავი ფიქალის განხოლოებულ წარმოებასთან.

ფილაქვენი ფიქალის გამოყენებას აგრეთვე მოითხოვს ელექტრო-ტექნიკური დაფების მწვავე ნაკლებობა მთელს კავშირში. ამ დაფების მოთხოვნილება საბჭოთა კავშირში მეორე ხუთწლედში შეადგენს 1.790.000 კვ. მეტრს, მათ რიცხვში ამიერ-კავკასიაში — 92.000 კვ. მეტრს.

მარმარილოს დაფების გამომუშავება მეორე ხუთწლედით მთელს კავშირში გათვალისწინებულია მხოლოდ 240.000 კვ. მ. რაოდენობით. მაშასადამე ელექტრო-ტექნიკური დაფების დეფიციტი შეადგენს 1.550.000 კვ. მეტრს ანუ 86,6 პროცენტს.

მხოლოდ ფილაქვენი ფიქალს შეუძლია შეავსოს ასეთი მწვავე ნაკლებობა—მით უმეტეს, რომ ის ბევრად უფრო იაფი და ადვილი დასამზადებელია, ვიდრე მარმარილოს დაფები. 1 კვ. მეტრი მარმარილოს დაფის თვითღირებულება ლენინგრადში შეადგენს 60 მანეთს; ინწობის ფილაქვენი ფიქალისა კი, პროექტის თანახმად, მხოლოდ 9 მან., 60 კაპ., ელექტრო-ტექნიკური ტრესტის ა.-კ. განყოფილების ცნობით, 1 კვ. მ. ლენინგრადის მარმარილოს დაფა მას უჯდებოდა 1933 და 1934 წ. ტფილისში 300 მანეთამდე. სავსებით ნათელია ფილაქვენი ფიქალის წარმოების განვითარების განსაკუთრებული პერსპექტივები კახეთში და მთელს კავშირში.

ინწობის ფიქალების საბადოს იშვიათი შემკულობა ორიოდე სიტყვით გამოიხატება შემდეგში: ფიქალების კარგი ღირსება და თვისებები; მათი ფენების ჩაწოლის ყოვლად მოხდენილი პირობები იაფი გახსნილი (კარიერით) დამუშავებისათვის; ნედლეულის სამივე კატეგორიის მარაგის პრაქტიკული ამოუწურავობა; სახურავი ფიქალის უპირატესობა ყველა დანარჩენ გავრცელებულ სახურავ მასალათა წინაშე; ფილაქვენი ფიქალის უპირატესობა მარმარილოს დაფების წინაშე; ჯანსაღი ზომიერი მთის ჰავა და წარმოების მშვენიერი ადგილმდებარეობა, რასაც აძლევს ინწობის ხეობას სამთო-კლიმატიური სადგურის ხასიათს; შედარებითი სიახლოვე სადგურ თელავთან (28 კლმ.) და გზატკეცილების კარგი მდგომარეობა; დასახლებული პუნქტების სიახლოვე (3-8 კლმ., 12.700 მცხოვრებით); განუწყვეტელი მუშაობის შესაძლებლობა მთელი წლის განმავლობაში (მინიმალური ტემპერატურა ზამთარში—მინუს 8 გრადუსი), საშენი ქვის, ხე-ტყის მასალის და შეშის სიუხვე ადგილზე; ჰიდროენერგიის გამოყენების შესაძლებლობა (პროექტი დამტკიცებულია); კვალიფიციური მუშების საკმაო რაოდენობა ახლო სოფლების მცხოვრებთა შორის; კარგად მოწყობილი საკუთარი საგარეუბნო მეურნეობა ნოყიერ მიწებზე და სხვა.

საკავშირო სახკომსაბჭოს 14 მაისის დადგენილება ეყრდნობა კახეთის საბადოს სწორედ ამ ხელსაყრელ პირობებს, აგრეთვე სახურავისა და ელექტრო-დაფების მწვავე ნაკლებობას, და გვავალებს, რათა ახლა მაინც გამოვიჩინოთ მეტი ყურადღება, მეტი რეალური მიდგომა ამ საჭირო საქმისადმი და დავაჩქაროთ მისი ორგანიზაციის დამთავრება.

როგორც აღვნიშნეთ, ინწობის ფიქალების წარმოება მშენებლობაში იმყოფება 1930 წლიდან. პირველ სამ წელს კაპ. მშენებლობისათვის გაღებული იყო განსაზღვრული თანხები, ხოლო 1933 და 1934 წლებში — არაფერი. ამ წლებში, რათა საქმე სრულებით არ შეჩერებულიყო, მცირე თანხები გამოიყო ადგილობრივ სახსრებიდან.

კაპ. მშენებლობის უმთავრეს ნაწილს შეადგენს კარიერის გახსნა, რისთვისაც საჭიროა 376.500 კუ. მ., ნარიყისა და გამოფიტული ფიქალის მოხსნა. დღემდე მოხსნილია 38.000 კუბ. მ., მიმდინარე წელში მოიხსნება 30.000 კუბ. მ., 1936 წელში — 85.000 კუბ. მეტრ., ამისდა მიხედვით 1936 წელში მივიღებთ 50.000 კვ. მ. სახურავ ფიქალის პროდუქციას და 23.000 კვ. მ., ფილაქვენ დაფებს და ფილებს, ხოლო 1937 წელში — 100.000 კვ. მ. სახურავ ფიქალს და 45.500 კვ. მ., დაფებს და ფილებს. ეს სამუშაოები მოითხოვენ კაპიტ. დაბანდებებს 1935 წელში 676.000 მან. და 1936 წ.—1.008.000 მან რაოდენობით.

მიუხედავად კახეთის ფიქალების საბადოს ყველა დამაკმაყოფილებელი პირობისა, ჩვენი შრომა ამ წარმოების ორგანიზაციის დარგში ფუჭათ ჩაივლის, თუ მშენებლობაში სახურავი ფიქალის დანერგვის საქმე დარჩა იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ის დღემდე იმყოფებოდა. ამ დანერგვის მთავარი ხელის შემშლელი გარემოებები მდგომარეობენ შემდეგში.

თანამედროვე გიგანტური მშენებლობა იძულებულია დაკმაყოფილდეს უმთავრესად ნედლი ხე-ტყის მასალით: იხმარება 99% ნედლი და მხოლოდ 1% ხმელი ხე-ტყე. გეგმით მხოლოდ 1937 წლისათვის არის გათვალისწინებული ხმელი ხე-ტყის ხმარების 25%-მდე აყვანა.

ასეთ პირობებში სახურავი ფიქალისათვის საჭირო ხის მასალას უნდა დაკვირვებით ხმარება. ზოგი ჩვენი მშენებლები კი ფიქალის ქვეშ დასაგებლად სახურავზე ხმარობენ ნედლს, ფართო და მაგარი ჯიშის ფიცრებს, რომლებსაც აჭედებენ ნივნივებზე მხოლოდ თითო ლურსმნით, ბოლოებში. ამრიგად დაჭედილი ნედლი ფიცრები გახმობისას იგრიხებიან ღარისებრივ, რის გამო ირღვევა ფიქალის სახურავი მთლიანობა და მით სრულებით დაუმსახურებლად სახელი უტყდება თვით ფიქალს იმ მომხმარებელთა თვალში, რომელნიც ფიქალს არ იცნობენ.

მეორე მთავარი ხელის შემშლელი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ სატრანსპორტო ორგანიზაციები (განსაკუთრებით „სოიუზტრანსი“) მეტად უხეშად ეპყრობიან ფიქალს გადაზიდვა - გადმოზიდვის დროს: ყრიან მას მიწაზე პირდაპირ ნიხბებით, რის გამო ფიქალი იმტვრევა და ზიანდება. ასეთი შემთხვევები ხშირი იყო.

მესამე ხელის შემშლელი გარემოება იყო შესაფერი ფართოთავიანი სახურავი ლურსმნების ნაკლებობა ბაზარზე. მაგრამ საკავშირო სახკომსაბჭოს 14 მაისის დადგენილება ეხება ამ საკითხსაც და მოითხოვს ასეთი ლურსმნების დამზადებას. აუცილებლად საჭიროა, რომ ფიქალის მხმარებელი ფიქალთან ერთად ღებულობდეს საჭირო ლურსმნის რაოდენობასაც.

ზემოაღნიშნული სამი მთავარი ხელის შემშლელი მიზეზის თავიდან აცილება ადვილი საქმეა. საჭიროა მხოლოდ მონდომება და ფიქალისადმი მეტი ყურადღების გამოჩენა.

მუშათა საერთაშორისო სასპორტო შეჯიბრება

ამიერ-კავკასიასა და შვეციას შორის გამართული ფეხბურთის მატჩის დაწვრილებითი ცნობები

სტოკჰოლმი, 1 სექტემბერი. გეტებორგიდან იუწყებიან სასპორტო შეჯიბრების პროგრამის გარეშე 30 აგვისტოს, შემდგარ ფეხბურთის მატჩის დაწვრილებით ცნობებს. მატჩი შესდგა ამიერ-კავკასიის საბჭოთა გუნდსა და შვეციის ფეხბურთელთა ერთერთ საუკეთესო გუნდს „გორდას" შორის. სტადიონზე თავი მოიყარა 7 ათასმა მაყურებელმა, რომლებმაც აღფრთოვანებით მიიღეს სტადიონზე გამოსული საბჭოთა ფეხბურთელები. ინტერნაციონალის სიმღერისა და ურთიერთ მისალმების შემდეგ დაიწყო მატჩი. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე იუწყებოდნენ, მატჩი დამთავრდა 3:3 შედეგით, მთელი თამაშის მანძილზე უპირატესობა საბჭოთა გუნდს ჰქონდა. ყველა ბურთი გატანილ იქნა პირველ ტაიმში. საბჭოთა მოთამაშე გ. აფრიდონიძე, რომელმაც ორი ბურთი შეაგდო, მეორე ტაიმში დაშავდა და იძულებული იყო დაეტოვებინა ასპარეზი.

„საბჭოთა ფეხბურთელებმა სწერს „გეტებორგს პოსტენი",— გვიჩვენეს საუცხოო ლამაზი თამაში. ეს სპორტის ნამდვილი პროპაგანდა იყო. თუ ბოლშევიკებს ასეთივე ხარისხის ექვსი გუნდი ჰყავთ, საბჭოთა ფეხბურთი ძალიან მაღლა მდგარა. ბურთის დაუფლების ტექნიკაში საბჭოთა ფეხბურთელები უეჭველად სჯობნიდნენ შვედებს". (ადს).

ამიერ-კავკასიის ფეხბურთელთა ახალი გამარჯვება

სტოკჰოლმი, 1 სექტემბერს. გუშინ გეტებორგში (შვეცია) გრძელდებოდა მუშათა საერთაშორისო სასპორტო შეჯიბრება. უდიდესი ინტერესი გამოიწვია ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფეხბურთელების გუნდისა და აღმოსავლეთ ნორვეგიის მუშათა ნაკრები გუნდის შეხვედრამ. გაიმარჯვა საბჭოთა გუნდმა შედეგით 8:0. 3 ათასი მუშა-მაყურებელი აღფრთოვანებით მიესალმა საბჭოთა ფიზკულტურელების გამარჯვებას (ადს).

ცურვაში პირველი ადგილები საბჭოთა მცურავებმა დაიკავეს

სტოკჰოლმი, 1 სექტემბერი. გუშინ გაიმართა შეჯიბრება ცურვაში. პირველი ადგილები კვლავ საბჭოთა მცურავებმა დაიკავეს (ადს).

წერილები რაიონებიდან

მაგალითი აცანელებისაგან გადავიღოთ

სოფ. **აცანა** მძლავრი კოლმეურნეობაა ლანჩხუთის რაიონში. ეს კოლმეურნეობა წელს წარმატებით ასრულებს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმებს. ეს იმიტომ, რომ პარტმასობრივი მუშაობა სათანადო სიმაღლეზე სდგას და ყოველმხრივ მზრუნველობას იჩენენ ადამიანებისადმი — კადრებისადმი.

კოლმეურნეებს დიდი სტიმული მისცა ნაყოფიერი მუშაობისათვის ჩაის ახალმა ფასებმა. კოლმეურნე **გერონტი თევდორაძის** ოჯახმა მოკრეფილი ჩაის ანგარიშში, გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით, ჯერ-ჯერობით მიიღო 1390 მანეთი, **ჯიმშერი ჩხაიძემ** — 1.300, **ბადადო ჩხაიძემ** — 1.980 მანეთი.

კოლმეურნეობას ჰყავს მოწინავე დამკვრელი ქალები. მაგალითად, **ლიზიკო ტაკიძე** ყოველდღიურად კრეფდა 24—26 კილოგრამ ჩაის ფოთოლს; **ანეტა წილოსანი** —21—23 კილოგრამს, ხოლო ეფროსი ჩხაიძე — 20 კილოგრამს.

მ. ბარამიძე.

100,4 პროცენტით

მახარაძის ჩაის ფაბრიკამ ფოთლის მიღების აგვისტოს გეგმა წინა თვეების დანაკლისით შეასრულა 100,4 პროცენტით. პირველ სექტემბრამდე ფაბრიკას უნდა გადაემუშავებია 1.136.600 კილოგრამი ფოთოლი, ფაქტიურად გადაამუშავა 1.141.240 კილოგრამი.

ეს წარმატება მიღწეულია საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის, „საჩაის" და მახარაძის პარტრაიკომის ოპერატიული ხელმძღვანელობის, წარმოებაში შრომის სოციალისტური ფორმების ფართოდ დანერგვისა და კადრებისადმი მზრუნველობით მოპყრობის შედეგად.

ფაბრიკის კოლექტივი იძლევა პირობას, რომ 1935 წ. საწარმოო დავალებებს შეასრულებს მთლიანად ხარისხობრივი მაჩვენებლების მტკიცედ დაცვით.

ფაბრიკის დირექტორი
აფრ. ჯიბუტი.

ვინ განაგებს კოლმეურნეობას

(კოლმეურნეთა წერილი)

სოფ. **ყელქცეულის** (გორის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ვახო **სამაგლიშვილია**, რომელმაც კოლმეურნეობა საწველ ფურად გადააქცია და კოლმეურნეების დიდი სიძულვილი დაიმსახურა.

სამაგლიშვილმა თვითნებურად გაჰყიდა კოლმეურნეობის ხარი და აღებული ფული 600 მანეთი თავის საჭიროებაზე დახარჯა. კოლმეურნეობამ სოფლის სკოლის დასახმარებლად გამოყო 240 მანეთი, ესეც სამაგლიშვილმა „გაიიმასჭნა". სამაგლიშვილი შეუდგა კოლმეურნეობის ძნებით საკუთარი სახლის შენებას.

სახბანკის გორის განყოფილებამ აღნიშნულ კოლმეურნეობას ასესხა 300 მანეთი უძროხო კოლმეურნეებისათვის საფური ხბოების შესაძენად. ეს თანხაც სამაგლიშვილმა მიითვისა.

სამაგლიშვილი ძარცვა ვაჭრუკანებისა და გადამყიდველების" კეთილი მიწ" აღმოჩნდა. მან ვიღაც ჩარჩს კოლმეურნეობის 2.000 მანეთი ასესხა, შემდეგ სესხი დაიბრუნა და საკუთარი სახლის მშენებლობისათვის დახარჯა. სამაგლიშვილს ჰყავს ვაჟიარი ქვისლი დ. მეტრეველი, რომელსაც ჩარჩობისათვის პასუხისგებაში აძლევენ, მაგრამ სამაგლიშვილმა გადაარჩინა.

ასეთია სამაგლიშვილის საზოგადოებრივი „მოღვაწეობა" ამისთვის იგი სასტიკად უნდა დაისაჯოს.

ბ. გამრეკელი,
გ. თოდაძე
ტ. წეველიძე
ა. გამგებელი
ნ. გამგებელი
გ. წეველიძე
მ. მურადოვი
სამხარაძე

მუშაობა გაუარესდა

(ექიმის წერილი)

ზაჰესის საექიმო პუნქტი პირველ იანვრიდან გადავიდა ლენრაიონის ბიუჯეტზე. აქედან დაიწყო საექიმო პუნქტის მუშაობის გაუარესება. პუნქტს არ აწვდიან მედიკამენტებს, შესახვევ მასალას და სხვ. სამი თვეა ხელფასი არ მიუღიათ თანამშრომლებს. ეს იციან როგორც ქალაქისა, ისე ლენრაიონის ჯანმრთელობის განყოფილებებმა, მაგრამ ყურს არ იბერტყენ.

როდემდის უნდა გაგრძელდეს ეს მდგომარეობა? ნუთუ ასე უნდა გავიგოთ საქ. კ.პ.(ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილება მედიცინის მუშაკების შესახებ?

სულიკაშვილი.

ელექტროსადგური ნიაბაურში

სოფ. **ნიაბაურში** (მახარაძის რაიონი) მიმდინარეობს ელექტროსადგურის აგება. პირველ ხანებში სადგური იქნება 130.000 ცხენისძალიანი. ელექტროსადგურის გახსნა განზრახულია 7 ნოემბრისათვის.

კოლმეურნეები დიდი ინტერესით მოელიან ელექტროსადგურის აგების დამთავრებას.

პ. ურუშაძე.

მეცხოველეობის აღმავლობისათვის

აბაშის რაიონი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში **ცხაკაიას** და **ჩხოროწყუს** რაიონებთან მეცხოველეობის 1935 წ. სახელმწიფო გეგმების მთლიანად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ვეტექიმი არ ჩანს

სოფ. **ფახულანში** (წალენჯიხის რაიონი) ღორებს არ უვლიან. ამის გამო არის ღორების დაავადების შემთხვევა. 15 დღეში 40 ღორი მოკვდა. ადგილობრივ ვეტექიმი არ არის. ეს იცის წალენჯიხის რაიმიწგანის მუშაკებმა, მაგრამ ზომებს არ ღებულობენ.

ერ. ხასაია.

ახალი კოლმეურნეობა

სოფ. **ქვემომაღაროში** (სიღნაღის რაიონი) ჩამოყალიბდა ახალი კოლმეურნეობა. კოლმეურნეთა საერთო კრებამ განიხილა და მიიღო არტელის ახალი წესდება. კოლმეურნეობა დამკვრელურად **ემზადება საშემოდგომო თესვისათვის.**

ვ. ბეჟაშვილი.

საკვებს მოიმარაგებს

სოფ. **ჯაფარიძის** (სიღნაღის რაიონი) კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე — **ბოსტოღანაშვილი**) თივის, ნამჯის და სიმინდის ჭეჩოს საკმაო რაოდენობა მოიმარაგა. საკვები გაიცემა წევრებზე გამომუშავებულ შრომადღეების მიხედვით, მათ პირად სარგებლობაში მყოფი პირუტყვის საჭიროებისათვის.

პასუხი უნდა აგონ

საბურთალოზე (ლისის გზა, სახლი № 16) ცხოვრობს მოქ. **ლომთაძე**, რომელიც სარგებლობს სახლის გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთით, სადაც დათესილი აქვს სიმინდი და ბოსტნეული.

რამდენიმე დღის წინათ მიწის ნაკვეთის ნახევარზე ასჩეხეს სიმინდი. როგორც ირკვევა, მიწის ეს ნაკვეთი მოქ. ლომთაძეს მიუყიდია **ლიზა მაისურაძისათვის.**

საინტერესოა, ვინ მისცა ამის უფლება მოქ. ლომთაძეს?

ლ. ღვინერია.
მ. კოკოევი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

„უდიერი თავმჯდომარე"

30 ივლისს მივიღეთ წერილი სათაურით: **„უდიერი თავმჯდომარე".** იგი შეეხებოდა სოფ. **ბრეთის** (ხაშურის რაიონი) სასოფლო - საბჭოს თავმჯდომარე **იოსებ ტატუნაშვილს**, რომელსაც ბრალად სდებდნენ კოლმეურნეებთან უდიერ მოპყრობას. ლოთობას და სახელმწიფო ქონების განიავებას.

ხაშურის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ს. ცხოვრებაშვილი** რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად ჰქონდა გადაგზავნილი, გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. **იოსებ ტატუნაშვილი მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში.**

„საკოლმეურნეო ქონების გამნიავებელი"

ა.-წლის 8 ივნისს ჩვენს რედაქციას **სენაკის** რაიონიდან ატყობინებდნენ, რომ სოფ. **ნოსირის** ამხ. **სტალინის** სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე **ვ. ბესელია** საკოლმეურნეო ქონებას აწიავებსო.

სენაკის რაიონის სახალხო გამომძიებელი ამხ. გეგენავა, რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად ჰქონდა გადაგზავნილი, გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. **ვ. ბესელია მოხსნილია სამუშაოდან. სასამართლომ ერთი წლის იძულებითი მუშაობა მიუსაჯა მას.**

ბერიას სახელ. ვაგონსარემონტო ქარხნის მუშები თითქმის ყოველ გამოსასვლელ დღეს მიდიან ქალაქგარეთ და კულტურულად ატარებენ დასვენების დღეს. სურათზე: ვაგონ - სარემონტო ქარხნის მუშები ცეკვავენ ფერხულს.

ბამბუკი

ბამბუკი მეტად ძვირფასი მცენარეა. იგი სუბტროპიკულ ზონაში ხარობს. საქართველოს ტერიტორიაზე უმეტესად გავრცელებულია აჭარისტანში, გურიაში, სამეგრელოს ზოგიერთ რაიონში და აფხაზეთში.

ბამბუკის მოშენება დიდ შრომას არ მოითხოვს, სხვა კულტურებისათვის სრულიად გამოუსადეგარ ნიადაგზე ხარობს და სწრაფად მრავლდება. თვითეული ძირი ზრდადამთავრებულ ბამბუკი, თუ ის ფერდულ ნიადაგზეა დარგული, წლის განმავლობაში რამდენიმე ათეულ ახალ ნაყარს იკეთებს.

ბამბუკის სამრეწველო გამოყენება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში ბამბუკის პლანტაციები ყოველწლიურად ფართოვდება. ბამბუკს დიდი ხალისით აშენებენ აგრეთვე კოლმეურნეები და შრომელი ინდივიდუალი მეურნეები.

ბამბუკს დიდი სამრეწველო გამოყენება აქვს. მისგან აკეთებენ საუკეთესო ხარისხის სკამებს, მაგიდებს, ტახტებს, წიგნის თაროებს, კიბეებს, წყალგამყვან მილებს, სახლის სახურავებს (ბამბუკის კრამიტი საუკეთესო სახურავ მასალად ითვლება), ხიდებს, სურათის ჩარჩოებს, საფერფლეებს, ქოლგებს, ჯოხებს, სხვადასხვა სახის ჭურჭლეულობას, რადიოსადგურის ანძებს. უკანასკნელ ხანებში ფართოდ გავრცელდა აგრეთვე ბამბუკის სახლებისა და ფარდულების აგება. ასეთი სახლები ხშირად შეგხვდებათ ბათომში, ჩაქვში, მახინჯაურში და სხვაგან.

ბამბუკის ფოთოლი წარმოადგენს პირუტყვის საუკეთესო საკვებს.

ბამბუკი მრავალწლიანი მცენარეა, მრავლდება ბოლქვების საშუალებით, არის სხვადასხვა ჯიშისა. საქართველოში თითქმის ყველა ჯიში ხარობს. ბამბუკის ნედლეულის გადასამუშავებლად მოწყობილია სახელოსნოები და პატარა ფაბრიკები. ბამბუკის ნედლეული გააქვთ აგრეთვე საზღვარგარეთაც.

სურათზე: ბამბუკის სახელოსნო ჩაქვში და ბამბუკისაგან დამზადებული სხვადასხვა ექსპონატი.

□

ფ. მაზერეელის სურათების გამოფენა

10 სექტემბერს იხურება

ბელგიელ მხატვრის ფრანს მაზერეელის სურათების გამოფენა, რომელიც 9 აგვისტოს გაიხსნა საქართველოს ნაციონალურ გალერეაში, 10 სექტემბერს იხურება. პირველ სექტემბრამდე გამოფენა ინახულა 3 ათასმა კაცმა.

სომხეთის საბჭოთა მხატვრების კავშირის თხოვნით და უცხოეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოების თანხმობით გამოფენა 3 კვირით იგზავნება ერევანში. იქიდან კიევში.

ტურიზმის ახალი ობიექტი

საქ. პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიათა საზოგადოება 15 სექტემბრიდან ხსნის მთელ რიგ ტურისტულ ბაზებს ახალ მეტად საინტერესო მარშრუტზე: ბორჯომი-წაღვერი - ბაკურიანი -ცხრაწყარო-ვარძია-ასპინძა-ახალციხე.

ამ მარშრუტის ტურისტებს საშუალება ექნებათ გაეცნონ ისტორიულად ფრიად საინტერესო ახალციხე-ასპინძა-ვარძიის რაიონს. ეს არის უძველესი მესხეთის რაიონი, სადაც დაიბადა მე-12 საუკუნის უდიდესი პოეტი შოთა რუსთაველი (სოფელი რუსთავი მდებარეობს ახალციხიდან 18 კილომეტრის მანძილზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე).

ვარძიაში არის კლდეში გამოკვეთილი გვირაბები, რომლებიც 365 ოთახს შეიცავენ და ექვს სართულიან გრანდიოზულ ნაგებობას წარმოადგენენ.

საქ. პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიათა საზოგადოება ამ გვირაბებში ბაზას აწყობს. გვირაბებში, სადაც უკანასკნელ დრომდე პირუტყვს ერეკებოდნენ, მოეწყობა კულტურული კუთხეები და დასასვენებელი ოთახები სათანადო მოწყობილობით.

თამაში „ბურთი ჰაერში".
სურათზე: მე-101 სკოლის მოწაფე პიონერი ლ. გუტენბერგი ბურთით ხელში.

მათემატიკური ინსტიტუტი ტფილისში

ვინაიდან ტფილისში მოიპოვებიან მსხვილი სამეცნიერო ძალები უმაღლეს მათემატიკურ დისციპლინებში, საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის პრეზიდიუმმა წამოაყენა საკითხი აქ მათემატიკური ცენტრის ორგანიზაციის შესახებ.

აკადემიის პრეზიდიუმის და სადირექტივო ორგანოების დადგენილებით, ტფილისში ეწყობა სამეცნიერო მათემატიკური ინსტიტუტი, რომელიც შევა აკადემიის საქართველოს ფილიალის სისტემაში.

საკავშირო სამეცნიერო აკადემიის სისტემაში ასეთი ინსტიტუტი მეორეა საბჭოთა კავშირში; პირველი—მოსკოვშია.

ახალი სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორად დანიშნულია მათემატიკის დოქტორი პროფ. **ვ. დ. კუპრაძე**, რომელიც უკვე ჩამოვიდა ტფილისში. ინსტიტუტში უფროს სწავლულ სპეციალისტად იმუშავებს ტფილისის მათემატიკური სკოლის დამაარსებელი პროფ. **ნ. ი. მუსხელიშვილი**, აგრეთვე პროფესორები **ა. ხარაძე** და **ლ. გოკიელი**, და დოცენტი **ი. ვეკუა** (სწავლული მდივანი).

ინსტიტუტში სამეცნიერო მუშაობა დაიწყება წელს, მეოთხე კვარტალში.

□

უცხოელი ტურისტები ბათომში

„ინტურისტის" აჭარისტანის განყოფილებამ გასული წლის 660 ტურისტის ნაცვლად, წელს მარტო პირველ სექტემბრამდე მიიღო 1194 ტურისტი.

უკანასკნელად ძალზე გახშირდა ტურისტების მასობრივი მოგზაურობა. მარტო აგვისტოში ბათომში ჩამოვიდა 695 ტურისტი. უცხოელი ტურისტების ერთი ჯგუფი (ფრანგები) 260 კაცის შემადგენლობით ჩამოვიდა 27 აგვისტოს.

უცხოელი ტურისტების მგზავრობის მიზანია ს. ს. რ. კავშირის სამრეწველო და კულტურული მშენებლობის გაცნობა. ისინი დიდი ინტერესით გაეცნენ აჭარისტანის კურორტებს. დაათვალიერეს ჩაქვის ჩაის ფაბრიკა, ბოტანიკური ბაღი, ბულვარი და ზოგიერთი დიდი საწარმო.

ხელოვნება

გრიბოედოვის სახელობის თეატრში

გრიბოედოვის სახელობის ტფილისის რუსულ სახელმწიფო დრამატიულ თეატრს ახალი სეზონისათვის ექნება საკუთარი ბაზა-შენობა კომინტერნის ქუჩაზე № 5, რომელიც რეკონსტრუირებულია სათეატრო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

კოლექტივის შემადგენლობა შევსებულია ახალი მუშაკებით. რეჟისორ-დამდგმელებად მოწვეულნი არიან ა. რუდინი და ა. ხმეიანოვი, მხატვრებად გ. ვოლჩინსკი და ნ. სოსუნოვი.

სეზონისათვის მზადება გაცხოველებით მიმდინარეობს. ახალ თეატრის გახსნისათვის, რაც ოქტომბრის დღესასწაულებზე მოხდება, მზადდება გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან". დაიდგმება აგრეთვე უკრაინელ დრამატურგის ა. კორნეიჩუკის პიესა „პლატონ კრეჩეტი" და ნ. ვექტერნის „პიკვიკის კლუბი".

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავისათვის თეატრი დადგამს ერთერთ ქართულ პიესას. მოლაპარაკება სწარმოებს დრამატურგ ს. შანშიაშვილთან და გ. თაქთაქიშვილთან.

სეზონის მეორე ნახევარში დაიდგმება ა. ფაიკოს ახალი პიესა „კონცერტი". შექსპირის „მეთორმეტე ღამე" და ლიაბიშის ცნობილი კომედია „ჩილოვის ქუდი".

წითელი არმიის თეატრში

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის წითელი არმიის თეატრი შეუდგა სამზადისს მომავალი სეზონისათვის.

სწარმოებს თეატრის რეკონსტრუქცია. ეწყობა ახალი დარბაზი და ფოიე, სამი დასასვენებელი ოთახი, უმჯობესდება ცენტრალური გათბობა.

სეზონის განმავლობაში დაიდგმება 5 პიესა: ტრენევის—„ლიუბოვ იაროვაია", პაპარიგოპულოს—„ბატონი ოფიცრები", არბუზოვის—„ექვსი შეყვარებული", პრუტის—„მე თქვენ მიყვარხართ" და შექსპირის ერთერთი კომედია.

განახლებული იქნება რომაშოვის „მებრძოლები" და ლავრენევის „რღვევა", რომელთაც დიდი წარმატება ჰქონდათ.

სეზონის გახსნა განზრახულია 15 ოქტომბერს. თეატრის მხატვრულ ხელმძღვანელად მოწვეულია მ. ლიაშჩენკო, რეჟისორ დამდგმელად დ. ალექსიძე.

მხატვრული გაფორმება დავალებული აქვს მხატვარ მ. ვენიამინოვს, მუსიკალური ნაწილის გამგედ მოწვეულია ქ. ერისკოვსკი. დასი თითქმის მთლიანად განახლებულია. მოწვეულნი არიან მსახიობნი — ქალები მ. არეცკაია, ვ. მარტენი, ე. არკადინა, მ. სპარგენსკაია, მ. კაზაკი და მსახიობები ვ. ლეონოვი, პ. ოუდინი, ვ. ბალიევი, პ. დოლჟანოვი, ნ. კოლესოვი, ქ. გავრილოვი და სხვ.

თეატრი მუშათა აუდიტორიისათვის ხელმისაწვდომი, რომ გახდეს, ბილეთების ფასი ტფილისის სხვა თეატრებთან შედარებით 50—70 პროც. ნაკლებია.

ა. დუნკანის სახელობის თეატრის გასტროლები

5 სექტემბერს მუსიკ-ჰოლის თეატრში იწყება აისიდორა დუნკანის სახელობის სახელმწიფო თეატრ-სტუდიის გასტროლები.

პროგრამაშია ცეკვა შემდეგი კომპოზიტორების ნაწარმოებთა მიხედვით: ბეთჰოვენი, ბერლიოზი, შუბერტი, შოპენი, შტრაუსი, მეტნერი სკრიაბინი და სხვ.

პროგრამაში შედის აგრეთვე ცეკვა რევოლუციურ თემაზე: „ვარშავიანკა", „მედლები", „დუბინუშკა".

□

ისტორიული ადგილის ძიება

ამ რამდენიმე დღის წინათ ქუთაისის მუზეუმის დირექტორმა ამხ. **ი. კობახიძემ** შეატყობინა განათლების სახ. კომისარიატს, რომ გელათის მახლობლად აღმოაჩინეს ძველი აკლდამის ნიშნები, სადაც საჭიროა გათხრის მოხდენა. შესაძლებელია აქ იყოს ერთერთი იმ ისტორიულ ადგილთაგანი, სადაც რაიმე ისტორიული მნიშვნელობის საბუთები ინახებოდეს.

აღნიშნულ ადგილზე კვლევაძიების მოსახდენად საქ. მუზეუმმა 3 სექტემბერს მიავლინა სპეციალისტთა ექსპედიცია პროფ. გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით.

ჩვენი კურორტები

საირმე

ქუთაისიდან ბაღდათამდე [illegible] ერთი საათის სავალი გზაა, ხოლო ბაღდათის შემდეგ მდინარე წაბლარისხევის ბილიკებით გაივლით 27 კილომეტრს და მიაღწევთ საირმეს, რომელიც უკვე მიჩნეულია რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად.

საირმეს გარს აკრავს წიწვიანი ტყე. იგი ოთხივე მხრივ გარშემორტყმულია ნაძვნარით შემოსილი მწვერვალებით და ძევს ზღვის დონიდან 915 მეტრის სიმაღლეზე.

წარსულში საირმე განთქმული იყო ირმებით, მგელებითა და ჯიხვებით. ახლა კი მის სიამაყეს შეადგენენ იშვიათი ხარისხის მინერალური წყლები, რომლებიც სამკურნალო თვისებებით კიდევ უფრო მაღლა დგანან, ვიდრე მსოფლიოში განთქმულნი ვილდუნგენისა და კონტრექსევილის მინერალური წყლები. მაგრამ საირმის ირგვლივ დღესაც საკმაო რაოდენობით დანავარდობენ ჯიხვები, ირმები, ფეხმარდი მგელები თავიანთი ნუკრებით.

საირმე განთქმულია აგრეთვე კალმახით; ამ იშვიათი გემოს თევზით საკმაოდ მდიდარია მდინარე წაბლარისხევი.

აგარაკი საირმე აღმოაჩინეს 40 წლის წინათ მონადირემ ნარიმან გორდაძემ და მწყემსმა გაბედავამ.

მას შემდეგ ხალხმა იწყო დენა საირმეში არა სანადიროდ, არამედ კუჭისა და თირკმლების ავადმყოფობის განსაკურნავად და საირმეც ამ ავადმყოფობის მკურნალობაში „სასწაულმომქმედი" ადგილი გახდა.

თანდათან საირმეში აღმოჩენილ იქნა სამი წყარო: № 1, 2 და 3. 1934 წელს გეოლოგიურმა ექსპედიციამ თითქმის შუაგულ მდინარეში აღმოაჩინა მეოთხე წყარო, საიდანაც შადრევანივით ამოჩქეფს იშვიათი ხარისხის მინერალური წყალი.

საირმის შესახებ პროფ. წულუკიძემ და ექიმმა ცისკარიშვილმა გამოსცეს პატარა ბროშურა „კურორტი საირმე", რომელიც მხოლოდ ერთი თვის დაკვირვების შედეგს წარმოადგენს. ამიტომ ამ ბროშურაში არ არის მოცემული საირმის მჟავე წყლების საექიმო მნიშვნელობისა და ღირსების სრული შეფასება. მაგრამ ზოგადი დაკვირვებებიც საშუალებას აძლევს ავტორებს თავიანთ ბროშურაში დაასკვნან, რომ ნაწლავის წყლულის, კუჭის ქრონიკული კატარის, შარდის ბუშტის, თირკმლის ანთების, ღვიძლისა და სანაღვლე სადინების ქრონიკული დაავადების შემთხვევებში საირმის წყლებს დიდი მკურნალობითი მნიშვნელობა აქვს.

ამავე დასკვნებს იძლევა ცნობილი ქიმიკოსის კუპცისის საირმის წყლების ქიმიური ანალიზი.

პროფ. წულუკიძე და ექიმი ცისკარიშვილი თავიანთ ბროშურაში აყენებენ შვიდ ამოცანას კურორტ საირმის შემდგომი გაუმჯობესებისა და შესწავლისათვის: 1) მოეწყოს ფართო სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც დაიყოფა ორ ჯგუფად: ა) საჭმლის მომნელებელ ორგანოებზე და ბ) საშარდე ორგანოებზე ამ წყლების მოქმედების შესასწავლად; 2) აიგოს ახალი ბინები; 3) მოეწყოს მეტეოროლოგიური სადგური; 4) დაიწყოს ქიმიურ-გეოლოგიური გამოკვლევა (კაპტაჟი); 5) გაუმჯობესდეს გზები); 6) მომარაგებულ იქნან მოაგარაკენი სანოვაგით და ფართო მოთხოვნილების საგნებით და 7) შესწავლილ იქნას წყლების მოქმედება კურორტის გარეთ.

ამ ამოცანების გადასაწყვეტად საქართველოს კურორტთა მთავარ სამმართველოს ბევრი რამ გაუკეთებია.

კურორტის დირექტორის ამხ. ალ. დარახველიძის კარგი მუშაობის შედეგად კურორტზე მისასვლელი გზა წინათდელთან შედარებით საგრძნობად გაუმჯობესებულია. მაგრამ ეს ღონისძიებანი საირმეში მისასვლელი გზის გასამართავად წვეთია ზღვაში. საჭიროა სათანადო სახსრები და ღონისძიებანი.

წელს კურორტ საირმეზე აგებულია აგრეთვე რამდენიმე ახალი ბინა, მოწყობილია მეტეოროლოგიური სადგური. რაც შეეხება მოაგარაკეთათვის პირველი მოთხოვნილების საგნების მიწოდებას, ამაზე მხოლოდ საკურორტო სამმართველო ზრუნავს ბაღდათის რაიკოოპკავშირი კი მონაწილეობას არ იღებს კურორტის მომარაგებაში.

აგარაკი საირმეზე სამაგალითო სისუფთავეა დაცული. მუშა-ხელის უყოლობის გამო აგარაკის დასუფთავება-გამშვენიერებაზე თვითონ კურორტის დირექტორი და თანამშრომლები ზრუნავენ.

მ. ხუხუნაშვილი

საირმე.

ოქტომბერი
5-30, 7-15, 9, 1050-
დამკვრელი (საბ.-საზაფხ.)
6-45, 8-15, 9-40, 11
ტემპი (საზაფხ.) ხმოვანი
8-15, 9-45, 11-15
რ. ლუქსემბურგის სახ.
5-30, 7-15, 9, 11
ამირანი (საზაფხ.)
8-10, 9-45, 11-15
„26"-ის კომ. სახ.
7, 8-30, 10
კომინტერნი საზაფხ.
(დიდუბეში). 9, 10-15

ხმოვანი ფილმი პეპო
დადგმის ექსპერტ კვიოა
მხატვრული სათავგადასავლო ფილმი
მცდარ კვალზე. მე-2 სერია.
დადგმის მესამე კვირა
ხმოვანი სურათი ა. სუნდუკიანის პიესის მიხედვით
პეპო
სცენარი და დადგმა დამსახურებულ ოჯეის. ა. ბეკ-ნაზაროვისა.
სოფიო მაგარელი ახალ მხატვრულ სურათში
ფირმის საიდუმლოება
საზამთ.—ხმოვ. კომ. მხიარული ახალგაზრდობა
საზაფხ.—მხატვ. სურ. უკანასკნელი ატრაქციონი
მხატვრ. კომედია
რისპუბლიკის მემკვიდრე პრინცი

ტფილისის ორჯონიკიძის სახ. რაისაბჭო
ა-წ. 4 სექტემბერს საღამოს სრულ 8 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში რუსთაველის პრ. № 21
იწვევს რაიონში არსებული საბინაო ამხანაგობების გამგეობების, კომუნალური და კერძო სახლების სამეულების თავმჯდომარეების კრებას.
საკითხის მნიშვნელობის გამო აღნიშნული პირების დაუკვიანებლივ დასწრება სავალდებულოა.
9346
რაისაბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს კომუნალური ბანკი
აუწყებს ყველა ორგანიზაციას, რომლებიც სოცსაყოფაცხოვრებო მშენებლობას აწარმოებენ, რომ სწარმოებს აღრიცხვა-გამოკვლევა ამ მშენებლობათა მდგომარეობისა 1. 9. 35 წლისათვის.
ზემდგომ ორგანოთა მიერ ამ აღრიცხვისათვის დასახულ ამოცანათა უაღრესი მნიშვნელობისა და სისწრაფის გამო, საქართველოს სახ. მეურნ. აღრიცხვის სამმართველოსთან შეთანხმებით, აგვისტოს ანგარიშების ფორმით № 13 ა.
წარმოდგენის ვადა, გამონაკლისის სახით, 20.9-ს ნაცვლად გადატანილია 10.9—35-ს.
მშენებლობათა ხელმძღვანელობამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს ამ ვადის დაცვისათვის.
296
საქ. კომუნალური ბანკი.

საქ. ზოოვეტ. ინსტიტუტის პარტკომი
წინადადებას აძლევს
ზოოვეტინსტიტუტის პარტორგანიზაციაში შემავალ ყველა პარტწევრ კანდიდატს გამოცხადდნენ ინსტიტუტის პარტკომში ა-წლის 7 სექტემბერს.
9353
პარტკომი.

ტფილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის პარტ. კომიტეტი წინადადებას აძლევს
ინსტ. პარტორგანიზაციაში მყოფ ყველა პარტწევრ კანდიდატს, რათა ყოველ მიზეზ გარეშე გამოცხადდნენ ინსტიტუტის პარტკომიტეტში ა-წ. 6-დან 8 სექტემბრამდე.
აღნიშნულმა ამხანაგებმა თან უნდა იქონიონ პასპორტი, სამხედრო წიგნაკი და მეტრიკული ამონაწერი.
9352
მედინსტიტუტის პარტკომიტეტი.

ტფ. კომუნალური მშენებლობის ტექნიკუმი
გრძელდება მსმენელთა განცხადების მიღება.
მისაღები გამოცდები ჩატარდება 7—12 სექტემბერს შემდეგ საგნებში: ქართული ენა, ისტორია, ქიმია, ფიზიკა და მათემატიკა.
მიღება სწარმოებს 1) კომუნალური მშენებლობის, 2) საალმშენებლო საარქიტექტურო და 3) სახანძრო განყოფილებებზე. დაწვრილებითი პირობების გაგება ტექნიკუმის კანცელარიაში.
სწავლა ყველა კურსზე დაიწყება 15 სექტემბერს.
მისამართი: შიო ჩიტაძის ქ. № 13. კანცელარია ღიაა 5—9 საათამდე
9351
დირექცია.

გაზ. „კომუნისტის" გამომცემლობის
სტამბა
ღებულობს მოწაფეებს
მოწაფეები მიიღება ორივე სქესის 18 წლიდან.
პირობების გაგება სტამბის ადმინისტრაციასთან—კამოს ქ. № 68.

ბორჯომის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
ამხ. ი. დიაკონაშვილი
ამით აცხადებს, რომ ა-წ. 8 სექტემბერს, დღის 12 საათზე, ქ. სტალინისში, ლენინის ქ. № 5
საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის
სტალინისის ქალაქის კოოპერატიის ქონებას: სასადილოს და საშაქარლამოს ინვენტარს და ფარდულს ცეკავშირის ბორჯომის ბაზის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. შეფასებულია 10.000 მან. თანახმად არბიტრაჟის ბრძანებისა № 909 31/12—34 წ. და № 232 19/4—35 წ.
9350

ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთები
დაკარგულია, ჩაითვ. გაუქმებულად
პასპორტი № 064506 სერგო კარაპეტის ძე ვართანოვის სახელზე. 9337
საქ. ექსპერიმ. ვეტ. ინსტიტუტის მიერ გაცემული მინდობილობა № 71 ალექსანდრე კუპრაშვილის სახელზე. 9338
პასპორტი პავლე ესტატეს ძე ლუდუშურის სახელზე. 9344

ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოულის) რაიკოოპკავშირის პრეზიდიუმი და თანამშრომლები იუწყებიან, რომ ა.-წ. 5 სექტემბერს ხუთშაბათს დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ამავე რაიკავშირის დაუვიწყარი მეღომარის და მეგობრის ამხ. კალენიკე გიორგის-ძე ბუხრაშვილის
ქ. ჯულელში (ყოფ. ზესტაფონი) 5 საათზე. 297

დავით ნიკოლოზის-ძე ჯავახიშვილი მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს დაუვიწყარი მეუღლის აგრა გრიგოლის—ასული ჯავახიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე 7 ნახევარ ს. გამოსვენება ბინიდან ბროსეს ქ. № 8. 5 სექტემბერს 5 საათზე ვერის სასაფლაოზე. 9348

ვანო ძიძიბაძე მეუღლით ელენე კვაროკველიათი, ნინა დოსმშვილი მეუღლით, თამარი ბერძენიშვილი მეუღლით, კატო, ირაკლი ძიძიბაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს დაუვიწყარი აგრა გრიგოლის—ასული ჯავახიშვილის გარდაცვალებას. 9348

საქმინწყლების ტფილისის განყოფილება და ჯგუფკომი მწუხარებით იუწყება საქმინწყლების მაღაზიის გამგის მარგალიტა (მარგო) ხარატურის—ასული ნავარსადოვას უეცარ გარდაცვალებას. გამოსვენება 4 სექტემბერს 4 ნახევარ საათზე პლეხანოვის გამ. № 635 დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 9347

ცეკავშირის საზკვების განყოფილების მომუშავენი: ი. ჩიკვაძე, ი. ოგაჯანოვა, ე. ბიბილეიშვილი, მ. სერებრიაკოვი, დ. ნემსაძე, ტარასაშვილი, ა. პანტურიშვილი, ტ. სარიბეკოვი, შ. ჩიბალაშვილი, თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. გრიშა პლიკაძეს მისი შვილის ჯუტეს (თენგიზის) უდროოდ გარდაცვალების გამო. ქვ. № 9349.

შვილები: ვალოდია, ნატა, თამარი, გრიშა, ოთარი, რძალი გალია სიძე მ. ციციშვილი, მაზლი გიორგი შვილებით: ნიკუშა, მერი, მარგალიტა, ქეთო, ლიზა იუწყებიან დარო ზაალის—ასულ ტატიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 4 სექტემბერს 4 ს. კლარაცეტკინის ქ. № 31. 9357

მაზლი ილიკო, რძლები: კატო, თამარი შვილებით: გენო, ელო, საშა, მიტო, ეთერა, გივი, მმისწულები: სოსო, მიშა, ტარასი ცოლშვილით იუწყებიან დარო ტატიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 5 სექტემბერს, კუკიის სასაფლაოზე 5 ს. 9354

გიორგი ლავრენტის-ძე ბოცერია შვილებით, სიძეებით, რძლებით, შვილის შვილებით, ოლღა სამსონის ასული კიკაბაძისა შვილებით, აგრაფინა გუგუშვილისა შვილებით იუწყებიან უსაყვარლესი თამაზიკო (ხუტუშა) ბოცერიძის უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ქ. გალში 6 სექტემბერს. 9355

მისამართები. რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. № 34. ტელეფონები: რედაქტორის 8—62—26, რედაქტორის მოადგილის 8—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 8—08—67, სამდივნოს 8—06—88, მასობრივი განყოფილების 8—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 8—57—61, სამრეწველო განყოფილების—8—73—40, სტამბის 8—27—04, გამომცემლობის—8—61—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 8026